140/3
1955

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პიონერი

№ 11
ნოემბერი
1955

„ვ. ი. ლენინი სრულიად რუსეთის საბჭოების II ყრილობაზე აცხადებს საბჭოთა ხელისუფლებას"

ფოტორეპროდუქცია მხატვარ ვ. სეროვის სურათიდან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პ ი ო ნ ე რ ი

№ 11

ნოემბერი, 1955 წ.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

წელიწადი XXIX

ექვიდო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლადო მრელაშვილი

ნახ. ალ. ბანძელაძისა

შერიგება*

უეცრად ქორია გააფთრებული ყეფით წამოვარდა და ჩახერგილ ბუჩქებს ეცა. ნამძინარევი თედო მაგრად ჩაეჭიდა წალდს და ზურგით წიფელს მიეყრდნო. ტყეში გაიხედა და ორ ანთებულ თვალს წააწყდა. ბიჭმა მგელი იცნო და ძაღლი წააქეზა:

— ეცი, ქორი, ეცი! — თანაც ერთი მუგუზალი აიღო და სიბნელეში ისროლა.

ძაღლს წაქეზება აღარ სჭირდებოდა და ტყვიასავით გავარდა შვინდ-ლარწას ბუჩქში. მოისმა ღრენა-ბღორტვის ხმა და გაქცეული ნადირის ფეხდაფეხ ქორიას ყეფა.

ბიჭს შეეშინდა.

— ძაღლი არ გამიგლიჯონ წყეულებმა! — ქორი! ქორი! აქა, აქა-აქაა! დაბრუნდი, ქორი!

როგორც იყო დაბრუნდა ქორია და მწყემსმა გასაძრომი ისევ ჩახერგა.

— მოდი, აქ დაწექ ისევ, ქორი. აგრე, ხომ დავუფრთხეთ იმ ნსუნაგს ანგელოზები!

თედომ შვინდ-ლარწას გრძელი წკეპლა ჩააჭრა და წნელად დაგრიხა. ცერიდან ძაღლს ჩაბა ჩანგალზე, ხოლო წვერი ქამარზე გამოიბა თვითონ.

— ახლა ისევ დავიძინოთ, ქორი!

და წამოწვა. წამოწვა, მაგრამ ისევ მალე წამოხტა ფეხზე. „არა, ძმაო, ერთიც ვთქვათ, კიდევ მოვიდეს მგელი. ამას მე კი არა, მორი რომ დავუბა, იმას წაიღებს...“

მოშორებით ტყეში რაღაც ენთო.

— ეს ღამის ცეცხლია, — წაიჩურჩულა მწყემსმა, — იქნებ ბებიაჩემი მართალს ამბობს? მაგრამ მე რომ ვიცი, ალები არ არსებობენ... რა საშინელია, სულ გამყინა ძვლებში. თუ ამ ღამეს გადავურჩი, ერთი უნდა ვნახო ნაცარს თუ სტოვებენ ნაცეცხლარზე...

უცებ კიდევ წამოვარდა ქორია და ბიჭი წააქცია, მაგრამ თედომ მოასწრო გრძელ ბალნებში ხელის ჩავლება და უბრძანა:

— დაწექი და არსად არ წახვიდე, ქორი, დაწექმეთქი, გეუბნები!

ქორია დაწვა, მაგრამ ღრენას მაინც არა სწყვეტდა, და მწყემსმა აშკარად დაინახა წეღანდელი ანთებული თვალები.

შუაღამე გადავიდა. თვალებდაჭყეტილმა ბიჭმა ტყის სიღრმეში თვალი მოჭკრა მეორე წყვილ თვალსაც და კბილებმა კაწკაწი დაუწყო.

უეცრად ორივე წყვილი თვალი გაქრა სიბნელეში და ატყდა საშინელი ღრენა და ბღლარძუნი. ქორია წამოვარდა, ბიჭიც დაითრია, მიწის ფხოჭნითა და ყეფა-ღრენით ეცა ბუჩქებს, ზედაც შეეტოტა, მაგრამ ვერსად ვერ გაძვრა და გაცოფებულიღა იყეფებოდა. „სიმაგრეს“ იქით კი ისევ გრძელდებოდა ბღლარძუნი და ერთმანეთის ღრღნა. ბოლოს მთელმა ხმაურმა ტყეში გადაინაცვლა და მერე შეწყდა კიდეც.

უცებ ბიჭი წამოვარდა და ძაღლს აეკრა. ნათლად დაინახა ტყიდან როგორ გამოვიდა ორი ანთებული ნაკვერჩხალი და პირდაპირ მისკენ წამოვიდა.

— დედავ! რა უნდა იყოს?

და როდესაც ნაკვერჩხლები საკმაოდ მოახლოვდა, მწყემსმა დაიკივლა:

— მიშველე, ქორი!

ძაღლი წამოვარდა და, ნაცვლად გააფთრებული ყეფისა, სიხარულით დაიწყო წკმუტუნი და კუდის ქნევა.

— რა არის, ქორი? რა დაგემართა, ქორი? გეშიხია, თუ...

---

* დასასრული. იხ. „პიონერი“ № 9 და 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიჭმა უკანასკნელი ღონე მოიკრიბა, წალდს მარჯვენა ხელი მაგრად მოუჭირა, მარცხენათი ცეცხლიდან გამოღებული მუგუზალი ასწია და იმ მხარეს მიანათა. წუთის შემდეგ კი ხელიდან გაუვარდა და გაოგნებული ეცა ძახველის ბუჩქში გაჩრილ მოკლე ხარიხას.

„სიმაგრეში“ შემოიზლაზნა ვეება, კუპრივით შავი ძაღლი და მხიარული წკმუტუნით შეეგებღა თედოს.

სიხარულით გადარეულმა ბიჭმა სულ დაუკოცნა გამურული ცხვირპირი მყეფარს და ლაპარაკს ძლივს-ღა ახერხებდა.

— ცუნცულ, ცუნცულ! აქ რამ მოგიყვანა, როგორ მოგვაგენ? ბაყბაყ-დევო! ცუნცულ! საიდან მოხველ! აქ როგორ მოგვაგენ? გვეძებდი, ცუნცულ, გვეძებდი? ვაშაააა! ახლა გინდა მთელი სამგლეთი მოვიდეს, აღარ მეშინია.

ძაღლი ძლივს გამოუსხლტა მოხვეულ ხელებს და ახლა ქორიას მიესალმა. კუდის ქნევით ასუნდასუნეს და მერე ნაკბენების ლოკვა დაუწყეს ერთმანეთს. ცუნცულამ ჯონქაც ინახულა და მერე ისევ მწყემსთან მივიდა...

თედომ ისევ გაჩხირა ბუჩქში აცლილი ხარიხა და ცუნცულა მეორე მხრიდან გამოიბა ქამარზე.

— ახლა არხეინად დავიძინებ.

და დაწვა.

მაინც ვერ დაიძინა...

მთელ ღამეს ისმოდა სიბნელეში ღრენა-ღმუილი.

მთელ ღამეს ანათებდა ახლა უფრო ბევრი წყვილი თვალი სადგომის სიახლოვეს.

მთელ ღამეს ისმოდა ფრთხილი ფეხის ხმა ნაზამთრალ ფოთლებზე.

მთელ ღამეს იწევდნენ გარეთ ძაღლები და მთელ ღამეს ენთოთ ალებს ცეცხლი ტყეში.

* * *

გათენებისას ფერმის გამგემ ალექსა წამოაგდო ფეხზე და ააჩქარა.

— დღეს ისევ უნდა გახვიდე ტყეში, ალექს.

— ტყეში რა მინდა, გიგლავ?

— მიიარ-მოიარე, კიდევ მოჩხრიკე შამბ-კაჭაჭი. ხევს გალმა გადი, იქნება ლეშს სადმე წააწყდე იმ ხბოსას... სირცხვილია ეგრე უკვალოდ დაიკარგოს ხბო. ხბო — ხბო არი და, იმ ძაღლისა მიკვირს — სად დაიკარგა! გასძახ-გამოსძახე, გადი ემაგრე იქნება სადმე ბინაშიც მივიდა. მგელი ვერაფერს დააკლებდა და ხროვას თუ გადაეყარა...

— მგელი რას უზამს ქორიას? მე იმას ვამბობ, სხვა ბინამ არ მიიჩვიოს.

— ჰო, კარგა მოძებნე, იქნება ან სადმე სვავები ტრიალებდნენ. ან ორბები ისხდნენ... ლეშზე იციან თავის მოყრა იმ სათოფეებმა. გადი და საღამომდე დაბრუნდი.

— კარგი, მოვალ საღამომდე.

ალექსამ კომბალი აიღო და ყორუღისკენ დაეშვა.

— ის ბიჭი სახლში წასულა და, თუ გზაზე სადმე წამოეწიო, უთხარი ისევ მოეხიროს აქ, — დაუძახა ფერმის გამგემ.

— კარგი, ვეტყვი, გიგლავ.

* * *

სიცივემ გამოაღვიძა თედო და წამოჯდა.

— ახლახან წამთვლიმა და ახლავე შემცივდა.

ირგვლივ მიმოიხედა: ტყეში სიბნელე გაცრიატებულიყო.

— ე-ე თენდება! — მოიქექა ბიჭმა თავი და ცეცხლს შეშა ისევ მიუკეთა. — ფუი! რა დაწყევლილი ღამე გავათენე!..

განთიადისას ნისლი წამოეძალა ტყის და მთელ საათს იწვა გაუნძრევლად. მხოლოდ ბოსელადან წამოსულმა ნიავმა აჰყარა და მყრალ-ტბისკენ გააცურა. აქა-იქ მაინც ნაცრისფრად იწვა ისევ და ნელნელა იწეწებოდა.

თედო ფეხზე წამოდგა, ძახველის ბუჩქი გაკაფა, რომელმაც მთელ ღამეს მგლის კბილისაგან დაიცვა, და, „სიმაგრიდან“ გავიდა.

— ცუნცულ, მოდი აქ.

შავი ძაღლი წამოიზლაზნა და განაკაფში გავიდა. ბიჭმა ხელი ჩააცლო ჩანგალზე მიბმულ წნელს და ტყეში გაბიჯა.

— წამომყე, ქორია აქ იყოს ცოტა ხანს.

მარჯვენაში წალდჩაბღუჯულმა მწყემსმა კარგა ხანს იარა, გადაჭრილ წიფელს წააწყდა და მიაფურთხა.

— ფუი! ფუტურო ყოფილა ეს დაწყევლილი, რატომ წუხელი არ გამახსენდა, რომ ღამით ფოსფორულ სინათლეს გამოსცემს?

ის იყო უკან გამობრუნებას აპირებდა, რომ გულშემზარავი კვნესა მოესმა.

— მიშველეთ! მიშველეთ!

ბიჭი შემცბარი შეჩერდა და ყური მიუგდო.

ყვირილი აღარ განმეორებულა.

— აბა, წავიდეთ, ცუნცულ. — და ორივე ქაჯიან-ხევისკენ გაიქცა.

ბილიკამდე მივიდნენ, მაგრამ ბილიკს იქით ნისლი ისევ მიცურავდა ხევ-ხევ და ჩანჩქერთან ახლო მისვლა საფრთხილო იყო.

თედო დააკვირდა და დაინახა, რომ ნისლი სწრაფად ინაცვლებდა ხევში და უკვე ნაპირიც გამოჩნდა. ფერდობზე ორი დაქანებული და წვრილი, როგორც თხილამურებისა თოვლზე, იაეთი კვალი გამოჩნდა. საბრალო ბიჭი იქვე ჩაიკეცა.

აშკარა იყო ვიღაც მორევში გადაიჩეხა.

დიდხანს ასე დარჩა მეხდაცემულივით. როცა გონს მოვიდა, აიხედა ზევით და შეამჩნია, რომ ნისლი მარჯვენა ნაპირზე აღოღებულიყო და ციცაბოზე მიიზლაზნებოდა. მაშინვე ეცა, ორი წკეპლა მოგრიხა; მათი წნელებისაგან ჩორჩოლები გააკეთა და ქალამნებზე წამოიცვა. გამოჭრა ჯოხი, ფაიბჯინა და კლდის ნაპირს მიუახლოვდა. იქვე ბუჩქად აყრილ ბატის-ჭუკას ტოტებს ხელი ჩასჭიდა და მუცლით გაწვა მიწაზე, თავი კლდის იქით გადაყო და ჩაიხედა.

გუშინწინდელ ადიდებულ ქაჯიან-ხევს დაეკლო მაგრამ ძირს აქაფებული ჩანჩქერი მაინც საზარლად ხვიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიჭმა კარგად მოათვალიერა და ბოლოს მიწის ნამზღვლევში ყვითელი ქაფის პირას შავი, მოძრავი რაღაც დაინახა. უცებ იმ რაღაცამ წამოიწია და თედომ კარგად გაარჩია ადამიანის თავი. მწყემსი შეზარა მისმა საცოდაობამ და თვალები დახუჭა. როცა თვალი გაახილა, დაინახა, რომ თავი დრო და დრო პირს აღებდა და ჰკუმავდა.

— კვდება! — დაასკვნა ბიჭმა და საშინელი გულისრევა იგრძნო. რის ვაივაგლახით გამობრუნდა უკან, ხის ძირას დაეცა და, როცა ისევ მოღონიერდა, იმ საშინელების გახსენებამ ისევ ბუჩქთან მიიყვანა!

თავი ისევ იმ მდგომარეობაში დახვდა.

მაშინ მწყემსმა თვალით გაზომა სიღრმე და უკან გამობრუნდა. ტყეში ცოტა ხნის სირბილის შემდეგ იპოვა სასურველი ხე და დაუწყო ჭრა. მთელი ნახევარი საათი გაჰქონდა წალდს ხეზე კაკუნი და ბოლოს გადაიქცა ძალზე მაღალი და ხშირტოტებიანი რცხილა. ბიჭმა რცხილა ისე გასხიპა, რომ ყოველი ტოტის როკი ერთი ციდის სიგრძეზე დაურჩინა ორთავე გვერდზე. რის ვაივაგლახითა და წვალებით მიათრია კლდის პირამდე, ჩაუშვა შიგ და ბოლო ბატი-ჭუკას ბუჩქის ძირზე საიმედოდ მიამაგრა წნელით. ბიჭმა წალდი ქამარში გაიყარა და დაბლა ჩაჰყვა თავის ნახელავ კიბეს.

ძირს სიცივე და სინოტივე იყო. წინაღამინდელ წყალს ძუძუმაყვალას ბარდები და დიყი გადაექელა. ჩანჩქერიდან ცივი სიო ჰქროდა და ყურისწამღები ხვიავილ-ხრიალით იყო გატენილი მთელი ხეობა. მწყემსი დააკვირდა და დაინახა, რომ ნამზღვლევში ჩაფლულიყო ვიღაც, მოთხუნულ ხელებს მისკენ იშვერდა და პირს წარა-მარა აღებდა.

— მგონი ყვირის, თუ რაღაცას იძახის.

თედომ მისკენ გადააბიჯა, მაგრამ მარცხენა ფეხი რაღაც

წებოვანში ჩაეფლო და ძლივს ამოაძრო. მაშინ მოიფიქრა: ქამარი მოიხსნა, მისი ბოლო გადაუგდო და, რაკი ვერ მიაწვდინა, ისევ ზედ შემოირტყა, გაბრუნდა და ხევ-ხევ გაჰყვა. ოციოდე ნაბიჯს იქით გავლა შეუძლებელი იყო: ძუძუ-მაყვალა და ბარდები ერთმანეთში გადახლართულიყო და შიგადაშიგ დგნალის ხეებს ამოეყოთ თავი. ბიჭი მისწვდა, ერთი გრძელი დგნალი მოჭრა, გასხიპა და უკანვე გამობრუნდა. მიუახლოვდა და ჩაფლულს გადააწოდა. მან ხარბად სტაცა ხელი და ისე მოსწია თავისკენ, რომ კინაღამ თედოც არ გადაითრია.

დიდხანს ეწეოდა ორივე თავისკენ. ბოლოს როგორც იყო დაძალა ოფლში გახვითქულმა თედომ. ნელნელა ამოათრია წებოვანი ნამზღვლევიდან და ქვიშიან ნაპირზე გამოიტანა. როგორც იყო ტალახში ერთიან ამოთხვრილი უცნობი წამოდგა ფეხზე, მაგრამ მაშინვე პირი დააღო, დაეცა და მარჯვენა ფეხზე იტაცა ხელი.

თედო მიუახლოვდა.

— ფეხი გაქვს ნატკენი? ჰა! ფეხი-მეთქი, ფეხი გაქვს ნატკენი? არაფერი არ ესმის ამ ჩემი ცოდვით სავსეს! — მერე მოიფიქრა და წყლისკენ ანიშნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეშინებულმა უცნობმა უკან დაიწია.

— ნუ გეშინია! — როგორც იყო გააგებინა თედომ და ძლივს მიიყვანა წყლის პირს... და გაოცდა მწყემსი, როდესაც პირის დაბანის შემდეგ უცნობში თავისი თანაკლასელი, ფერმის გამგის ბიჭი უშანგი იცნო.

დიდხანს ეწვალა და, რაკი ჩანჩქერის ხმაურში ვერც თვითონ გაიგო რამე და ვერც მას გააგებინა, კიბემდე მიიყვანა.

— აბა, ადი და მე უკან მოგყვები. ადი, ადი! ჰო, აგრე, აგრე! მიდი, ნუ გეშინია!

მაგრამ ნატკენ ფეხზე ვერაფრით ვერ დაეყრდნო უშანგი და ისევ დაბლა გადმოვარდა.

— ეე, ცუდად არი შენი საქმე.

დადარდიანდა თედო. მივიდა, კიბეს დაუწყო ბრუნება და, რაკი ძვრაც ვერ უყო, რაღაც წაიბურტყუნა და ქამარი მოიხსნა.

— აბა, გაიძრე პალტო და ზურგზე შემაჯექი, არ გესმის?! პალტო გაიხადე-მეთქი! — მივიდა და თვითონ გააძრო. — ახლა ზურგზე შემაჯექი! — მიუქცია ზურგი და ანიშნა: — მომეცი ხელები! აგრე, ჰო, აგრე.

უშანგი სრულიად მოდუნებულიყო და ახლა თავის „მტერ-მოყვარეს“ პატარა ბავშვივით ემორჩილებოდა.

თედომ ფეხნატკენს გრძელი ქამარი წელზე შემოახვია და თავის მუცელთან შეკრა ბალთა ისე, რომ ორივენი ერთ ქამარში აღმოჩნდნენ.

— მაგრად იყავ, არ შეგეშინდეს! — გააფრთხილა და დაიწყო „კიბეზე“ ასვლა.

* * *

...და აჰა, ისევ სამზეოზეა უშანგი. ტყეში ფოთლები შრიალებენ, სადღაც კოდალა ღრუტნის ფუტუროს და საშინელი ჩანჩქერის ხვივილი ყრუდღა მოისმის. გვერდზე კი თედო ჩაჩოქილა და ხბოს ეალერსება. დაიცა! ეს მგონი დაკარგული ხბო არი. დასწყევლოს ეშმაკმა, ოქროს გული ჰქონია ამ ბიჭს! საინტერესოა სად იპოვა?

თედო მობრუნდა და უთხრა:

— მგონი დაისვენე, წასვლის დროა.

უშანგმა შეხედა, ცხვირზე გუშინწინდელი თავის ნახელავი შეამჩნია და თვალები ძირს დახარა. დახარა და მას შემდეგ აღარც აუხედნია, ისე უთხრა:

— ჩვენ ყველას სოფელში გვეგონე. — ჩანთა გახსნა და მთელი პური ამოიღო. — აჰა, ჭამე, გეშიება...

თედოს პურის დანახვაზე თვალები გაუბრწყინდა და მომდგარი ნერწყვი გადაყლაპა. მერე აიღო და ხარბი თვალით დიდხანს უმზერდა. როგორც იყო დასძლია ცდუნებას და დამნაშავესავით იკითხა:

— შენ აღარ გინდა?

უშანგის თავი არ აუწევია.

— გინდაც მინდოდეს, ვერ შევჭამ.

თედომ თვალი ძლივს მოსწყვიტა პურს და ძაღლებს დაუძახა.

წელან თედომ გადაწყვიტა უშანგის პალტოში ჩაეხვია და ცუნცულას შუა ისე გაება, რომ მეგფეხნაღრძობი ჩაეწვინა, ძაღლებს, რასაკვირველია, არ გაუჭირდებოდათ მისი ტარება, მაგრამ როდესაც მათთვის ამ უჩვეულო ოპერაციის კეთება დაიწყო ბიჭმა, შეეღრინეს და განზე გაექცნენ. ახლა მათ შუა ხბოს ჩაყენება და მათზე გადაბმა მოინდომა, მაგრამ მაშინვე გადაიფიქრა, რადგან დამხვეულებს შეეძლოთ საითმე გაეტაცნათ და სირბილში წაეხრჩოთ ჯონქა.

ძაღლები დაძახებაზე მოვიდნენ და ახლოს დაცუცქდნენ. თედომ პური გატეხა, ნახევარზე მეტი ქორიას მისცა და დანარჩენი ცუნცულას დაუგდო.

უნდა გენახათ ძაღლები რა გამალებით ეცნენ პურსა და როგორი სიხარბით დაუწყეს ჭამა.

უყურა, უყურა თედომ და გვერდზე მიბრუნდა, რათა თვალზე მომდგარი ცრემლი ფარულად მოეწმინდა.

უშანგს თავი მუხლებამდე ჩაუვარდა...

ცოტახნის შემდეგ თედო ისევ დაბრუნდა და, ტკივილისაგან დაჯღანული უშანგი რომ დაინახა, მივიდა, ჩაიმუხლა და ფეხი გაუსინჯა. ნაღრძობი გასიებულიყო და სილურჯეც უფრო მეტად მოსდებოდა.

— დაუყოვნებლივ უნდა წავიდეთ ქოხში.

— არ შემიძლია. შენ წადი, მე ვერ წამოვალ.

— არ შეიძლება შენი აქ დატოვება. აბა, შემაჯექ ზურგზე. ცუნცულ, ქორი, აქ იყავით და ჯონქას არ მოშორდეთ, მე ახლავე მოვალ...

მიუხედავად დიდი უარისა, თედომ მაინც შეისვა უშანგი ზურგზე და გაუყვა ქოხისკენ ტყეს.

ტვირთი მძიმე იყო და მშიერი ბიჭი უცნაური ჯიუტობით ეზიდებოდა.

გზაზე გავიდნენ და მოზრდილ აღმართს მიადგნენ. გზა კვლავ ნოტიო იყო და ფეხი სხლტებოდა.

აღმართის დასაწყისში უშანგმა ვეღარ აიტანა თავისი „მტრის“ წამება და თითქმის ტირილით უთხრა:

— აქვე დამაგდე, აქვე დამაგდე-მეთქი!

აქოშინებული თედო შედგა და ღონეწართმეული თვითონვე შეემუდარა:

— ცოტას დავისვენებ, უშანგ, სულ ცოტას...

სულმობრუნებულმა თედომ ისევ აიკიდა დაშავებული და შეუდგა აღმართს.

— დამნაშავე ვარ შენთან, ძმაო თედო, და უნდა მაპატიო! — წაიკნავლა ზურგზე შემჯდარმა.

— მიპატიებია!

— შენი რვეულები მე დავფხრიწე...

— მიპატიებია...

— ხანჯალი მე მოგპარე და წყაროს თავს მუხის ფუღუროში დავმალე.

— მიპატიებია...

— ოჰ, თედო! დამაგდე ძირს, დამაგდე! აქ უნდა მოვკვდე!

— არაფერია, უშანგ, შენი დატოვება აქ არ შეიძლება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— თედო...
— რა იყო უშანგ?!
— ნულარ მიგყავარ!
— რა იყო, ბიჭო?!
— იმ ღამეს... იმ წყეულ ღამეს... შენ კი არ დაგავიწყდა ხბორების ბაკის კარებში ხარიხების გაყრა, მე გამოვაძრე, როცა ყველას გეძინათ.
— ჰა? — განცვიფრებულმა თედომ ხელი გაუშვა ბიჭს და უშანგიც ზღართანით დაეცა ძირს.
— ვაიმე, დედავ! — იყვირა ბიჭმა და ნატკენზე ხელი იტაცა.
თედო მივარდა და შარვალი აუწია.
— გეტკინა? ძალიან გეტკინა? ეს... ეს მე სულ არ მინდოდა... ძალიან გეტკინა?
— არაფერია, თედო... ამაზე მეტის ღირსი ვარ... არც ახლა დამანებებ თავს?
— არა, შენი დარჩენა აქ არ შეიძლება! რად გინდოდა ხარიხების გამოძრობა?!
— ოიმეე! ნულარ მახსენებ... მე მეგონა, ხბორები რომ დაიფანტებოდნენ, მამაჩემი წაგართმევდა შენ და მე გადმომცემდა იმათ მწყემსვას...
კარგა ხანს იყო გაშტერებული თედო და ბოლოს წაილაპარაკა:
— მიპატიებია... მიპატიებია ჩემი მხრით, მაგრამ... ხბორები ჩემი ხომ არ იყო? ხბო-ზაქი საერთო იყო და საერთოსთან შენ რა ხელი გქონდა?
— აქვე მომკალი, თედო! წაყვანის ღირსი არა ვარ.
— არ შეიძლება. ფეხი თანდათან სივდება და ტკივილს მოგიმატებს. ქოხში დროზე უნდა ავიდეთ. შენს გარდა საქმეცა მაქვს — ხბო ჯერ ისევ ტყეშია და ვინ იცის მოშივდა კიდეც...

დალი და დილა

ცა იღუშება,
დარი არი, ცივა თუ თბილა,
დალი და დილა
იღვიძებენ ყოველთვის წყვილად.

გაისმის მისი კისკისა ხმა
კარიდან კარად:
— ჰეი, ჭინკებო, წამოდექით,
ჩაიცვით ჩქარა!

შხაპუნა მოდის,
დარია თუ არის სიცივე,
დალის ბავშვები
სკოლისაკენ მიჰყავს სიცილით.

მთელ სკოლას უყვარს
ეს ბეჯითი, კისკისა ბავშვი;
ამბობენ, როცა
ჰყვება იგი გაკვეთილს კლასში,

თვით ცელქებიც კი
განაბულნი უსმენენ მაშინ
და მასწავლებელს
ვარსკვლავები უნთია თვალში.

ეზოში დალის
ყველა მუდამ მღიმარეს ხედავს,
და კითხულობენ:
„მან ტირილი თუ იცის ნეტავ?“

დალის სიცილი
მეც მაღვიძებს დილაზე ადრე,
მაგრამ ამისთვის
მას საყვედურს როგორა ვკადრებ.

დალი იცინის
ისე ლაღად და ისე ტკბილად,
მგონია ხშირად
მის სიცილზე იღვიძებს დილა.

აკაკი გენაძე

ოზია იოსელიანი

ნახ. რ. ცუცქირიძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ს ხ ვ ა კ ა ც ი“

რა მნიშვნელობა აქვს საკუთარ თავზე ლაპარაკობ თუ სხვაზე, მტერზე თუ მოყვარეზე, ახლო მეგობარზე თუ სრულიად უცხოზე, — სიმართლეს წყალი არ უნდა გაუვიდეს!

ჰოდა, გულახდილად უნდა ვთქვა, რომ ნორჩ ნატურალისტთა წრის წევრად მეც იმ დღიდან ვითვლებოდი, რა დღესაც მირიანი მიიღეს. მართალია, მეც წევრი ვიყავი და არც ერთ საერთო საქმიანობას არ დავკლებივარ: ბარვა იყო — ვბარავდი, თესვა იყო — ვთესავდი, მყნიდნენ — ვმყნიდი, სარეველების მოსპობაზე იდგა საკითხი — და სხვაზე ნაკლებად არც ჩემი თოხი ჭრიდა...

...მაგრამ მირიანი სულ სხვა იყო!

რასაკვირველია, საერთო შრომაში, ესე იგი წრის მუშაობაში, მუდამ ჩვენთან იყო და მისი გაკეთებული ადვილად გამოირჩეოდა, მაგრამ, თუ ჩვენ გეგმით გათვალისწინებულ სამუშაოს შესრულებით ვკმაყოფილდებოდით, მირიანს კიდევ ჰქონდა თავისი გეგმა: ხილის ბაღებში დაძვრებოდა, წყალში ჭყუმპალაობდა, ტყიურივით ასწლოვან მუხებში დაეხეტებოდა და მინდორში თუ ყანებში ყვავილებსა და კულტურულ მცენარეებს ჩაჰკირკიტებდა.

მისი წყალობით ცოცხალი კუთხე ვეება გვირგვინს დაემსგავსა. აქ იყო ათასგვარი ყვავილი და სარეველა ბალახი, ნამდვილი თუ შერქმეული სახელით, რასაც მირიანი ფერისა და თვისების მიხედვით ურჩევდა, ან იმის მიხედვით, თუ სად, როდის და რა პირობებში ჰქონდა აღმოჩენილი. ერთ მათგანს „უამინდოც“ ერქვა, რადგან მირიანს მისი მოტანის დროს წვიმა დაესწრო; ერთსაც — „დილამშვიდობისა“, რადგან იმ დილით, როცა ის სკოლაში პირველად მიჰქონდა და მისი სახელის შერჩევით იყო გართული, ჭიშკართან მე შევხვდი და დილამშვიდობისა ვუსურვე.

ამ ჭრელა-ჭრელა საყვავილე ქოთნებისა თუ გულდაგულ გასალაშინებული ფიცრის ყუთების გვერდით მრავალგვარი მავნე და ჯოჯო გამოიყურებოდა დიდი და პატარა ზომის შუშის ქილებიდან. ტივტივებდნენ წურბლები გუბის წყლით შუამდე ავსებულ ბოთლებში. ჭერზე ფრინველით სავსე გალიები ეკიდა, ხოლო იატაკზე, კარადის გვერდით, გრძელი როფი იდგა ცხრა ჯიშის თევზით.

რასაკვირველია, ამათ მოვლა-პატრონობაში წრე აქტიურად მონაწილეობდა და რიგრიგობით ვმორიგეობდით კიდეც, მაგრამ მირიანი მაინც სულ სხვა იყო.

სულ სხვა იყო მირიანი ერთ რამეშიც: არ უყვარდა საქმეში სხვისი ჩარევა. ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რაც მან ჩვენს ცოცხალ კუთხეს შესძინა, მარტომ გააკეთა და მხოლოდ ერთხელ, თევზების დაჭერის დროს იყო რომ დამიხმარა: ხელში ბადე მომცა, როცა თვითონ ჯილეებიდან თევზებს ერეკებოდა. ერთხელაც ხუთი ღერი ფიცარი და ოცდაექვსი ლურსმანი მივეცი — ეს იყო და ეს!

ასე რომ, მირიანს არ უყვარდა სახელსა და დიდებაში მონაწილე ჰყოლოდა.

წინა დღით ეზოდან ვხედავდი, რომ მირიანი ჩვეულებრივად არსად წასულა, ივჯდა ერთთავად და რაღაცას დიდი გულმოდგინეობით კითხულობდა. საღამოს, ბურთის სათამაშოდ წასვლის წინ გავუარე, მაგრამ თავიც არ აუღია, ხელით მანიშნა — არ მოვდივარო.

— ხუთოსანი ხომ არის? — მკითხა ჩვენზე ორი წლით უმცროსმა მერაბმა.

— ჰო, არის.

— მერე, ექვსები რომ არ იწერება!

— ბრიყვო. — თავში წავკარი მსუბუქად. — გგონია ხუთოსნები გაკვეთილების გარდა არაფერს კითხულობენ?

— როგორ არა, კითხულობენ, მაგრამ ხომ უნდა დაისვენონ კიდეც?

— ეგ თვითონ იციან!

ბურთის თამაშის შემდეგ მირიანი ისევ აივანზე შევნიშნე წიგნით ხელში.

— ახლა ალბათ შვიდზე ამზადებს გაკვეთილს, — მიჩურჩულა მერაბმა.

— ხუთიცაა და ხუთიც, — განვუმარტე მე, — ზოგი ხუთი მართლაც ექვსს უდრის, ზოგიც ოთხნახევარს ბევრად ვერ აჯობებს.

მაგრამ მეორე დღეს მირიანმა რუსულში ოთხი მიიღო და საშინაო დავალებაც არ ჰქონდა წესიერად შესრულებული.

— ეე! — გამიკვირდა მე. — დღესვე უნდა გავიგო რა წიგნზე იმტვრევდა გუშინ თავს!

ვისადილე და აივანზე გამოვედი, რომ გაკვეთილების სწავლამდე შემესვენა. ვხედავ, ისევ ზის და კითხულობს.

— მირიან, — ღობიდან გავძახე მე, — მაგ წიგნზე ხომ არავის მიუბიბარ, სულ ერთთავად რომ ხელში გიჭირავს.

იგი სახლში შევიდა და შემდეგ გამომეგება.

— ხუმრობა თავისთვის იყოს და კარგი წიგნია.

— მე სულაც არ გეხუმრები, რა წიგნია ასეთი, იქნებ ჩვენც დაგვაინტერესოს, ა?

— არა, ისე, მხატვრული წიგნია.

— ჰმ, მხატვრული... მხატვრული ათასია, მაინც რომელი?!

— არაფერი ისეთი, ფანტასტიკური ამბავია.

მივხვდი, რომ ფანტაზიას თვითონ ამბობდა, მაგრამ არ მოვეშვი.

— ფანტასტიკური რომანებიც არა ერთია, ჩემო ძმაო კეთილო!

— რა თქმა უნდა, არის. — დამეთანხმა მირიანი, რითაც მეუბნებოდა: „მომეშვი, ხომ ხედავ, არ მინდა გითხრა და ძალაო?“

მაგრამ მე ნამდვილად ძალაზე წავედი:

— შე კაი კაცო, თუ მოპარული გაქვს — არ ვიცი, ბიბლიოთეკის საკუთრება შენც ისე გეკუთვნის, როგორც მე, და სათაურის პირველი ასო მაინც მითხარი.



საღამოს, ბურთის სათამაშოდ წასვლის წინ გავუარე, მაგრამ თავიც არ აუღია, ხელით მანიშნა — არ მოვდივარო.

— ხუმრობა იქით იყოს და საქმე მაქვს შენთან.

— „რობინზონ კრუზოა“, — აშკარად იცრუა მან, რადგან ჯერ კიდევ შარშან ერთად გვქონდა წაკითხული.

— ჰო, თუ რობინზონია, რას იზამ კაცი. — კეფის ფხანით ვთქვი მე, რითაც ვაგრძნობინე, — „ასეთი ტყუილები შენს სამი წლის დათიკოსთან დაგჭირდება-მეთქი“, — მაგრამ მას აინუნშიაც არ ჩაუვდია და მეც სხვა რა გზა მქონდა, უკან გავბრუნდი გაკვეთილების მოსამზადებლად.

— რას იზამ, როცა სულ სხვა კაცია! — ჩავიდუდუნე ჩემთვის.

2

ლობესთან შუათითის ქნევით მიმიხმო.

— რაშია საქმე, რობინზონის კუნძულზე გამგზავრებას ხომ არ აპირებ კოლექციების შესაგროვებლად?

— ხუმრობა იქით იყოს და საქმე მაქვს შენთან.

მივხვდი რაღაც ისეთს აპირებს, რისი გაკეთებაც მარტოხელას გაუჭირდება. მეც, რასაკვირველია, უარი არ მითქვამს, რადგან ყოველთვის მჯერა უინტერესო საქმეს ხელს არ მოჰკიდებს.

... და წავედით. გადავსერეთ მინდორი, ღელეს თავზე გადავევლეთ, ტყისპირ ხრამს ათიოდე მეტრი მანძილიდან გაქცევით გადავახტით და ასწლოვანი მუხის, რცხილისა და ცაცხვის ტყეში შევაბიჯეთ.

ბრმასავით უკან მივდევ, მირიანი საქმიანად მიაბიჯებს და, ეტყობა, ამ უღრანში გზა ისე აქვს დასწავლილი, რომ გორც ჭიშკრიდან სახლამდე.

თუ მთლად საათნახევარი არა, საათზე ათი-თხუთმეტი წუთით მაინც მეტი ვიარეთ.

მირიანი უზარმაზარი, დაფუღუროვებული მუხის ძირას გაჩერდა და კისერი ისე მოიღრიცა, თითქოს უკან თმებში ეწევიანო.

— ოჰო, — მოწონებით ვთქვი მე, — ეს მუხა მართლაც დაამშვენებს ჩვენს ცოცხალ კუთხეს. — და მერე სინანულით დავუმატე, — რატომ თან ბარიც არ წამოვიღეთ? შე კაი კაცო, როცა ასეთ საქმეზე მიდიხარ, წინდაწინ უნდა გააფრთხილო თანამონაწილე და, მეტი რომ არაფერი მენახა, რძის საწველ ქოთანს წამოვიღებდი. გადავასახლებდით შიგ და...

— ზაზა... — მომმართა მან ისე, რომ ჩემი ნათქვამი ან სულ არ მოუსმენია, ან, თუ მოისმინა, ჩემს ირონიებს არავითარი ყურადღება არ მიაქცია.

— აი, იქ ხედავ?

ავხედ-დავხედე მუხას და ვთქვი, რომ შესანიშნავ, ნახევრად ხმელ, დაფუღუროებულ, დამპალ მუხას ვხედავდი, რომელიც ჩვენს ცოცხალ კუთხეს მაისის ვარდივით დაამშვენებდა.

— ხუმრობა ხუმრობის ადგილას იყოს და ვერ ხედავ? — იგი მომიახლოვდა, თავი თავზე მომაყრდნო და ხელი ჩემი თვალის გასწვრივ გაჭიმა.

— ჰო, ვხედავ, აქ ყველაზე მეტი ფუტურო უნდა იყოს.

— ეე! ფუტურო, ფულურო, დამპალი, ხმელი... — აღარ მოუთმინა გულმა. — ბრმა ხარ და მეტი არაფერი! — მერე ყური მიუგდო. — და—ყრუც!..

ცოტა არ იყოს მეც გავბრაზდი: რას უნდა ვხედავდე მუხის მეტს, რა უნდა მესმოდეს მუხისგან.

— რასაკვირველია, ვხედავ, სწორედ იქ იასამანი ჰყვავის და იქვე იმ იასამნიდან ბულბულის, თუ იადონის გალობაც მესმის.

— დოყლაპია!

— ქარაფშუტა!

— ბრიყვო!

— იდიოტო!

და ეს სიტყვა, რადგან ახალ სალანძღავ სიტყვად ითვლებოდა, კიდევ გავიმეორე.

— პირწავარდნილო იდიოტო, რას უნდა ვხედავდე, დაფუტუროვებულ მუხასთან დამაყენე და გინდა თუ არა ედემის ბაღი დაინახეო.

— ხე-ხე-ხე-ხე! — გაიცინა მან. — ედემის ბაღი კი არა, ის არ გინდა... ბიჭო, ფუტკარი რომ ირევა, ვერა ხედავ?

— ფუტკარი?! — გაკვირვებით შევძახე, და უმალ მართლაც აუარებელი ფუტკარი შევნიშნე. ხმაც, გაბმული ზუზუნიც გარკვევით გავიგონე და მაშინ გავამართლე ერთი ანდაზა: „ქვიშაზე გავივლი და, თუ არ მინდა, ერთ კენჭსაც არ დავინახავო“.

— მირიან, რამდენი ფუტკარი ყოფილა!

— მაშ! არის და მერე რამდენი! იქ ერთი უძლიერესი ოჯახი უნდა იყოს.

— რასაკვირველია, იქნება. — საქმის ღრმა მცოდნესავით დავეთანხმე მეც.

მირიანი ხეს უვლიდა და ყოველმხრივ გულდაგულ ზვერავდა. მე ვიდექი და ბრაზი მერეოდა, რომ უიარაღოდ ვიყავით წამოსული.

— აბა, რაღას ეძებ! ხედავ, ფუტკარია და საკმაოდ ბევრიც. წავიდეთ, ხერხი და ნაჯახი მოვიტანოთ და საღამოს ჩვენს წრეს ერთი ძირი სკა ეყოლება.

— „საღამოს!“... შენ, ეტყობა, ხუმრობა საქმე გგონია ამათი ჩამოყვანა!

— აბა, მაშ რა? ჯერ თავს წავხერხავთ ძირიდან, ასე ორი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამი მეტრის დაშორებით, მერე ძირში მოვხერხავთ და ჰაიდა!

— „ჰაიდა!“ ჩამოვახეთქებთ ძირს, არა?

— აბა, ბეჭით მაგას მთელი ჩვენი სკოლის ოთხას სამოცდაცამეტი მოსწავლეც ვერ ჩამოიღებს.

— აი, სწორედ საქმეც მაგაშია, რომ ეს მხოლოდ მე და შე უნდა ჩამოვიღოთ და ფრთხილად, ყოველგვარი გადმოხეთქების გარეშე.

— „ფრთხილად!“ — გამოვაჯავრე მე. — შენ, ჩემო ძმაო, გეტყობა, ჭკუასთან გვარიანი მანძილით უნდა იყო შორს! ვერ ხედავ, კასრის სიმსხოა ტოტი?! ამდენი რომ შეგვეძლოს, ბარემ ძირიანად მოვთხრიდით!

— არა, კვირას უეჭველად ჩამოვიტანთ. — ისე გულდაჯერებით თქვა მან, რომ მე, რასაკვირველია, მხოლოდ გავიცინე.

3

ერთი სიტყვით, ბაწრის მსგავსი არა გაგვიშვია რა. იქამდე რომ, ჭის ვედროსაც გადავხსენით ძველი ჭაპანი და ღორის საბმელი ჯაჭვიც თან წავიღეთ. ყანის პირებზე, სადაც დაბმული ძროხა ვნახეთ, მწყემსებს ჩავაბარეთ, და იმდენი ბაწარი შევაგროვეთ, — ორ კაცს საზიდავად ეყოფოდა. ამას გარდა ახალმოლესილი ბირდაბირი, ნაჯახი, ორი სატეხი, ბურღი, ლურსმნები და ბრეზენტიც თანა გვქონდა.

ადგილზე მისულებმა ჭირის ოფლი შევიშრეთ და მაშინვე საქმეს შევუდექით.

მირიანმა ბრეზენტი გაშალა და თავისივე ხელით დამზადებული ორი პირბადე ამოიღო: ერთი — მავთულის, მეორე — ძუის.

მე მაშინვე გავყავი თავი მავთულის პირბადეში, მაგრამ მირიანმა ამიხსნა, რომ ჯერ საჭირო არ იყო პირბადეები.

— ეე, რას ამბობ? ერთიანად დაგვკბენენ! — არ დავუჯერე მე.

— მოიცა, ზაზა! ჯერ ერთი, ჩვენი ფუტკარი ისე არ იკბინება.

— როგორ თუ „ჩვენი“, ეს ხომ ტყისაა?

— „ჩვენი“, ესე იგი ქართული — კავკასიური არ იკბინება ისე! მეორეც — ახლა დიდი ღალიანობაა, აკაცია ჰყვავის და, თუ მაინც და მაინც იძულებული არ გახადე, შენთვის არა სცალია.

მან წელზე ბაწრის თავი მოიბა და მუხას ატოტინებულმა ფეხის დაჭერა მთხოვა. მე ფეხი დავუკავე და ისიც ნელი ბობღვით აჰყვა. როცა იმ ტოტს ასცდა, რომელშიც ფუტკარი ბუდობდა, მე შევახსენე — მგონი ვერ შენიშნე-მეთქი, მაგრამ არა, იგი მაინც მეორე ტოტზე გავიდა და დაამაგრა ბაწარი. იქიდან ბაწრით ქვედა ტოტზე დაეშვა. წელში მაგრად გაიჭირა და გადმომძახა:

— ბურღი მოაბი ბაწრის თავს!

— არის, ბურღი მოვაბა-მეთქი, და მოვაბი.

ბაწრით აათრია და ბურღვას შეუდგა.

— ეე, ახლა საძრომს უკეთებ? — გამიკვირდა მე.

— უნდა გავიგო, რა მანძილზე არიან წამოსული ტოტში.

— ჰოო, გავიგე.

პირველ განაბურღში სკისნაირი არაფერი აღმოჩენილა. მეორეთ ერთი მტკაველის დაშორებით დაარტყა ბურღი, მაგრამ არც იქ აღმოჩნდა რამე. მესამე და მეოთხე განაბურღში, რომლებსაც ის ხის ტანისაკენ თანდათან თითო მტკაველით აახლოებდა, მირიანის თქმით, ერთი აურზაური და ორომტრიალი იდგა, რაც მან უმალ ცხვირსახოცით ამოქოლა.

— ხერხი!

— არის ხერხი! — და მეც ბაწრის დახმარებით ავბობღდი მაღლა. ხელზე ბებერების გაჩენამდე ვხერხეთ, ოფლად გავიღვარეთ. ბოლოს ტოტი გრიალით დაეშვა ბალახზე.

— ეს ფუტკრებიც სულელები ყოფილან! — შევნიშნე მე.

— სულელი თვითონა ხარ! — იწყინა მირიანმა.

— სისულელეა, აბა რა! მაინცდამაინც ტოტი რომ აირჩიეს, თვითონ ხის ტანში დასახლებულიყვნენ და აგრე იოლად ვერც ვერავინ მოხერხავდა.

— ეს იმიტომ, რომ არ გესმის!

— რას ჰქვია „არ მესმის!“ ახლა თვითონ არ გადავხერხეთ?

— ფუტკრები უასფუძვლოდ არაფერს აკეთებენ.

— არ აკეთებენ, თორემ შენც იცი რა...

— ვიცი.

— იქნებ ესაუბრე კიდეც ჰა?

— ასეა თუ ისე, ვიცი!

— აბა ისიც გეცოდინება, რა საფუძვლით ჩაუყარეს საფუძველი ამ ტოტში თავიანთ ოჯახს?

— საფუძვლად ისა ჰქონდათ, რომ მუხის ტანი ძალზე დაფულუროებულია და აქ რომ ფიჭების ჩადგმა დაეწყოთ, ერთი რომ ძნელი იყო ყველა მხარე უშიშრად ამოეგლესათ; მეორეც, ასეთ თავიდან ბოლომდე გულგამომპალ ხეში წყალი ჩაუდგებოდათ და, მესამეც, შენ როგორ გგონია, დათვებს შენზე ნაკლებად უყვართ თაფლი?

— რა სათქმელია რომ მეტად! რადგან მე ხშირად თაფლის სიყვარულს მურაბით ვიკლავ და ზოგჯერ შაქრის მოზრდილა ნატეხითაც.

— ჰოდა, ასეთ დაფულუროებულ ხეს ადვილად დალეწენ დათვები.

— ჰოო, ასეთს ნამდვილად დალეწენ. ის კი არა და, თუ იქ ვერ გატეხეს, სადაც თაფლია, შეიძლება ფულუროშიც შეძვრენ.

— და სწორედ ამიტომ ფუტკრები ირჩევენ ტოტს, რომელსაც მხოლოდ ერთი საძრომი აქვს და ხედავ? ისიც როგორი ვიწროა!

— აბა! შიგ თითიც კი არ შეეტევა, რომ თაფლით პირი გაისველო!

ამის თქმაც ვერ მოვასწარი, რომ ერთმა ფუტკარმა ზედ ცხვირწინ გამიქროლა და იქვე ახალ გადანაჭერთან დაეშვა.

— კბენას თუ გვიპირებს, — ვუთხარი მირიანს.

— ჰმ! რას ამბობ. ვერა ხედავ ფეხებზე?

— ვხედავ, თაფლი მოაქვს.

— „თაფლი!“ თაფლი სად გაგონილა ფეხებზე!

— აბა რა, შაქარი?

— ისევ თავისას გაიძახის! ყვავილის მტვერია...

ამ დროს ფუტკარი ნელა გაღოღდა ტოტზე და საძრომში მიიმალა.

— მგონი მარტო უკანა ფეხებზე ჰქონდა მტვერი...

— რასაკვირველია, მხოლოდ უკანაზე.

— ეტყობა, ეს ერთი ვინმე უქნარა უნდა იყოს, ერთთავად რომ მტვერში გორაობს...

— შენ, გეტყობა, ფუტკრების ცხოვრებაზე წარმოდგენაც არ გქონია.

— რას ჰქვია — არ მქონია! — ვიწყინე მე. — ძალიან კარგად ვიცი, რომ ფუტკარი შრომისმოყვარეა. ეს კი... განა არ შეიძლება ზარმაცები და უქნარები მანდაც იყვნენ?

— არიან.

— ჰოდა, ესეც მათი ავან-ჩავანი იქნება.

— სრულიადაც არა. სკაში მუქთახორები მხოლოდ მამლებია. ეს მუშა იყო. აი, ხედავ? — მან კიდევ ერთი ისეთი ფუტკარი დამანახვა. — აი, ესეც ყვავილის მტვერით ფეხებდამძიმებული ბრუნდება...

— ეეჰ, შენთან ლაპარაკიც არ ღირს, ჩადი ძირს და დანარჩენი ბაწარიც მომაწოდე.

— ღორის ჯაჭვიც?

— არა, ჯერ ბაწრები.

ბუზღუნით დავეშვი ძირს, ბაწრები ერთმანეთს გადავაბი და მირიანს მივაწოდე. მირიანმა ეს თოკები ზედა ტოტს გადმოატარა და მერე საგულდაგულოდ ჩაბა ფუტკრების ად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გილსამყოფელს. როცა უკანასკნელ ნასკვს აკეთებდა საძროზების ახლოს და მეტი სიფრთხილითაც იყო, ეტყობოდა, დარაჯმა გულიანად დაკბინა, რადგან ძირს ფახი-ფუხით ჩამოეშვა და ჩამოსვლისთანავე ჯიბის დანა მთხოვა, რომ ნაკბენ ადგილზე პირით დაესვა.

— ერთი ფუტკარი დაილუპა, — სინანულით თქვა მან.

— აბა! ნამდვილად დაილუპა! ვიცი ფუტკრებს ადამიანის კბენა სიცოცხლის ფასად უჯდება, მაგრამ სულ ერთია, მეორე მაინც იკბინება.

— მართალია!

— კი მაგრამ, ეს ბაწრები რომ მეორე ტოტზე გადმოკიდე, ახლა როგორ, ჯერ ალბათ აქ გინდა დაბა, მერე მოხერხავ, ჩამოხვალ აუშვებ და ზედ დაეკიდები? მართალია, სკას დაუშვებ, მაგრამ თვითონ გინდა მაღლა აგიტაცოს?

მაგრამ მირიანი ასე არ მოიქცა.

ძირს გადმოგდებული ჩამოხერხილი ტოტიდან იგივე ზომის მოარი გადავხერხეთ და ბაწრის ქვედა ბოლოებს ჩავბით.

— ხრი, ხრი, ხრი, ხრი! — შევუდექით ბირდაბირით, ბრეზენტის ხელთათმანებით, წინდებში ჩატანებული შარვლით. ერთი სიტყვით, ისე ვეცადეთ, რომ სადმე ღია ადგილი არ დაგვრჩენოდა, ან შესაძრომი არ ჰქონოდათ ფუტკრებს. ხერხვით კი ახლა საძრომთან ახლოს, ზედ განშტოებაში ვხერხავთ. ფუტკარი კი ირევა და ირევა, პირბადეებს აწყდება და საკბენ ადგილს დაეძებს.

ხელებზე ბებერები დაგვასკდა და აგვეწვა. ფუტკრის შიშით ასე საგულდაგულოდ შეფუთვნილებს ოფლი გვასველებს. ხერხვით კი მაინც ვხერხავთ. ან კი რას იზამ კაცი, რამდენ მეტს დააყოვნებ, იმდენ მეტ უსიამოვნებას უნდა ელოდე ასეთი შეუპოვარი თავდამცველებისაგან.

როგორც იყო ეშველა. მოხერხილი სკა ბაწრებზე მშვიდობით დაეკიდა, მაგრამ თავზარი დამეცა, როცა განშტოებაში ვიწრო ღრუდან იხუვლა ფუტკარმა. უნდა გამოვტყდე, არავითარი წინააღმდეგობის თავი არ მქონდა, ბაწრებზე ისეთი ფაცხა-ფუცხით დავეშვი, რომ ძირს ჩამოსულს ხელის გულებზე მეგონა ცეცხლი მეკიდა.

მირიანი ისევ იქაა, ტოტზე, იღრიჯება და კბილებს აჩენს.

— ეე, დაგჭამენ! — მივაყვირე მე.

— მერე და როგორ, მივატოვო? — ჩამომძახა ზევიდან.

— არ მიატოვებ და, როცა რუმბივით გაგხდიან, თვითონვე ისე დაგორდები, რომ აღარც სკა დაგრჩება სკად და აღარც თავი თავად.

მალე მირიანიც ჩამოეშვა და, რასაკვირველია, თავიც თავად ჩამოიტანა, ფეხიც-ფეხად, თუმცა მარჯვენა — უფეხსაცმლოდ; ფეხსაცმელი გადანახერხში ჩაეჩარა და ლანჩით დაეღშო ღრუ.

გამართლდა ჩემი წინასწარმეტყველება: გაბრაზებულ ფუტკარს ტანსაცმელშიც გაეღწია ისარი, ორს კისერზე ეკბინა. ზოგი როგორღაც სახელოში შემძვრალიყო. ბარძაყი და მუხლის კვირისტავიც დასიებული ჰქონდა მირიანს.

დანის პირით მოვფხიკე დაკბენილი ადგილები, მერე პანტა მსხლის ფოთლები მაგრად დავღეჭე და ზედ დავადე. ამ მკურნალობის შემდეგ (მე ცოტა მოთმინებაზე ღარიბად ვარ), მირიანს შევახსენე რომ, თუ კიდევ სადღეისოდ რაიმეს აპირებდა, საქმეს დროულად შევდგომოდით, თორემ... სახვალიო გაკვეთილები...

მირიანმა კაცის სიმაღლეზე გატუზული მზე დამანახვა:

— ჯერჯერობით არაფერი არ შეიძლება.

— გაგიუდი? იქნებ მთვარის ამოსვლას ელოდები!

— არა, მაგრამ...

— როგორ თუ „არა, მაგრამ!?“.

— უნდა დაღამდეს!

— უნდა დაღამდეს?

— ჰო, დღისით შეუძლებელია!

— აბა, აქ შუაღამემდე მტოვებ?

— არა, როგორც კი შებინდდება... როგორც კი მზე ჩავა, საქმეს შევუდგებით.

— მზის ჩასვლის შემდეგ საქმეს შეუდგება და როდის დამთავრებს ვითომ?

— დიდი აღარაფერი უნდა, ბრეზენტს შემოვახვევთ და.

— ჰმ, ბრიყვი! — გავაწყვეტინე მე, როცა ბრეზენტი თვითონ გამახსენა. — განა ახლა ვერ შემოვახვევთ?

— შემოხვევით შემოვახვევთ, მაგრამ რაც ფუტკარი საშოვარზეა გასული, — და ახლა თითქმის უმრავლესობა იქ იქნება, — დავკარგავთ.

— რას ჰქვია დავკარგავთ, ჩვენ მხოლოდ რამდენიმე წუთით შემოვახვევთ, დავუშვებთ ძირს და მერე რამდენიც უნდათ ზიდონ.

— აგრე რომ იყოს, კაი შენ. მაგრამ, სკას რომ ადგილი ერთი ფეხის ნაბიჯზე მოუცვალო უკან დაბრუნებული ფუტკარი ველარ მიაგნებს და...

ვიფიქრე ნამდვილად გავაბი-მეთქი, რადგან ვიცოდი, რომ ფუტკარი საშოვარზე დიდი მანძილით მიდის ბინიდან.

— კი მაგრამ, ფუტკრები რამდენ მეტრზე მიდიან სკიდან თაფლის თუ სხვა საჭიროებისათვის?

— არის შემთხვევა, როცა საკვები ახლო-მახლო არ იშოვება, თხუთმეტ-ოც კილომეტრზე მიფრინავენ.

— რას ამბობ, ოც კილომეტრზე?

— კი, ოცზე — თვითონ წიგნში სწერია.

„აჰა, თურმე რა წიგნი ყოფილა, ყმაწვილო, ასე რომ ატეხდი თავს!“ გამიელვა თავში.

— და ისევ უკან ბრუნდებიან?

— რასაკვირველია!

— „რასაკვირველია“ და ისაა საკვირველი, რომ ტყუილი არ იცოდი და ახლა გისწავლია. თვრამეტი შენზე იყოს, ვთქვათ, მარტო ორი კილომეტრიდან ბრუნდებიან და, როგორც შენ ამბობ, გზა არ ეპნევათ. სკა რომ ერთი მტკაველით გადაანაცვლო — ველარ მოაგნებენ?

— ვერ მოაგნებენ.

— როგორ, თვალები არა აქვთ?

— ჰმ! — გაეღიმა მირიანს. — თვალები? რამდენიმე ნამდვილი და ათასამდე ცრუ.

— ხე-ხე-ხე! — სიცილისაგან ისე გავიჭაქე, თავი რცხილას მივახალე.

— ათასამდე! ჰოდა მხედველობა ხომ აქვთ?

— ყოველმხრივ იხედებიან. მაგრამ სულ ერთია, სკას ვერ მიაგნებენ, თუ ადგილმოცვლილი დაუხვდათ.

მე ჩავფიქრდი და დავასკვენი, რომ, ეტყობა, ფუტკრებს რაღაც ალღო აქვთ, ალბათ ისეთი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ბინამდე მიიყვანს მათ.

საერთოდ, ასეთი ხასიათი მაქვს, სანამ საქმეში თვითონ არ გავერკვევი, ტყუილად ეცდები ზერელედ დამაჯერო. გავერკვევი — და იხტიბარს ხელად ვიტეხავ ხოლმე.

რადგან სხვა გზა არ იყო და მაინცდამაინც მზის ჩასვლას უნდა დავლოდებოდით, მირიანს უკანა ფეხებდაყვიტლებული ფუტკრის შესახებ დავუწყე გამოკითხვა, რომელიც ახლა გადანახერხ ტოტზე დაეშვა ჩემს წინ.

— ჰოო, ეგ ყვავილის მტვერია, რომლითაც ბარტყებს კვებავენ, — ამიხსნა მირიანმა.

— მერე, რატომ საძრომამდე არ მიფრინდა. — დავინტერესდი მე, რადგან სხვები პირდაპირ საძრომს მიაშურებდნენ ხოლმე.

— ვინ იცის საიდან მოფრინდა. ალბათ დაღლილი იყო და საძრომამდე ვერ მიაღწია, მას ხომ თაფლიც ექნებოდა?...

— ყოჩაღ! — მოვიწონე ასეთი ფუტკარი, რომელმაც ერთდროულად ორი საქმე გააკეთა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4

ნორჩ ნატურალისტთა წრის წევრები დილიდანვე შევიკრიბეთ.

ვისაც სად და როგორ ეშოვა, ისე დაეკრიფა და ყოველ ჩვენგანს ვეება თაიგული ეჭირა ხელში.

მე პირადად ვფიქრობდი საჭიროზე მეტი წამეღო, რათა თუ ვინმეს არ აღმოაჩნდებოდა, მეწილადებინა. სხვებიც ასე მოქცეულიყვნენ. ყოველი ჩვენგანის თაიგულიდან ორ-ორი შეიკვრებოდა და არც ერთი ამ საჭიროებისათვის არ დაიწუნებოდა.

ათის ნახევრამდე იქვე ცოცხალ კუთხესთან დავწრიალებდით: ყვავილებს წყალს მეათედ ვასხურებდით, ფრინველებს ვუსტვენდით, საჭმელს ვუყრიდით შუშის ქილაში პატარაობიდანვე ჩაშვებულ კუს, რომელიც ახლა ისე გაიზარდა, რომ ჭურჭლის ვიწრო ყელიდან ამოსვლა ბოთლში გაზრდილი კიტრივით გაუჭირდებოდა.

როგორც კი ისარმა ათის ნახევარს გადააბიჯა, ავდექით და სადგურისაკენ გავწიეთ. წავედით და თან ჩვენი რაზმის დოლი და საყვირიც წავიღეთ.

— რამ-პარა-რამ-პა!

— პრამ-პარა-რამ-პა!

გასძახოდნენ გზადაგზა მესაყვირე და მედოლე, რომ ვიღაც სახელოში მწვდა და მწყობრიდან გამოთრევა დამიპირა.

— ეეე! რას მეწევი? — ყვირილით მოვიხედე და ვხედავ — მერაბია.

— წამოვალ რაა!

— მერე და ვინ გაკავებს...

— მწკრივში თუ არ ჩამაყენე, ასე კოჭლი ცხვარივით ხომ ვერ აგდევენებ! — მეუბნება და კვალდაკვალ მომდევს.

— როგორ ჩაგაყენო, როცა ოთხნი უკვე ვართ.

— ჰო, ოთხნი უკვე ხართ.

— თუმცა არა უშავს, მოდი, გვერდში მომიდექ.

როცა სოფელს გავცდით და დამკვრელებმა შეისვენეს, მერაბს მივუბრუნდი.

— აი, ასე იცის, როცა მონდომებული ხარ.

— ჰო, ასე სცოდნია.

—შენ კი, ჩემო ძმაო, იცინოდი: შვიდზე და რვაზე ამზადებს გაკვეთილებსო.

— მე რა ვიცოდი თუ...

— არ იცოდი! არც უნდა გეთქვა! კიდევ კარგი მე მისთვის არაფერი მითქვამს, თორემ ვინ იცის ახლა როგორი თვალით დაგიწყებდა ყურებას. შენ ის რა, ის ხომ არ გგონია... უბრალო ვინმე!

— არა, ჰო... ის ახლა...

— ახლა კი არა, ის თავიდანვე სხვა კაცი იყო და ამიტომ...

— მე რომ მის ადგილზე ვყოფილიყავ, ვიტყოდი ზაზაც ჩემთან ერთად მოსკოვში...

ამ დროს საყვირმა ისევ იქექა და დოლიც აბრახუნდა.

— მერე და რა უშავს, სულ ერთია, მაინც ჩვენი წრის სახელია. მე რა, მე ხომ იქ უბრალოდ ვეხმარებოდი და მეტი არაფერი.

მატარებელმა ბევრი როდი გვალოდინა, — ქშენით შემოიჭრა სადგურში.

თაიგულიანი ხელები მაღლა ავიშვირეთ და მატარებლის ქშინვაში, საყვირის გაბმულ ძახილში და დოლის ბრახუნში ყიყინით მივესალმეთ ვაგონებს.

მირიანი მეხუთე ვაგონის საფეხურზე იდგა ჩემოდნით, რომელიც ჩვენ მატარებლის გაჩერებამდე გავტაცეთ. ნახევარი წუთის შემდეგ ჩვენი სახელოვანი ამხანაგი ყვავილების ტევრში გავხვიეთ.

ვაგონის ფანჯრები ცნობისმოყვარეთა თავიბით გაივსო. ხელებს გვიქნევდნენ, გვიცინოდნენ და ჩვენთან ერთად განიცდიდნენ დიდ სიხარულს.

მატარებელი დაიძრა და თან წაიღო ჩვენსკენ მოპყრობილი



როგორც იყო ეშველა: მოხერხილი სკა ბაწრებზე მშვიდობით დაეკიდა.

მგონი ათასი წყვილი თვალი და, რასაკვირველია, ყურიც.

მირიანი ბაქანზე დავუშვით.

არ ვიცოდით საიდან დაგვეწყო, რა გვეკითხა, რითი გაგვეხსნა საუბარი. ჩვეულებრივ ხუმრობას რატომღაც ვერ ვბედავდი, რატომღაც მიჭირდა პირველი სიტყვის თქმა, მაგრამ თვითონ მომიბრუნდა და შემაჩერა კიდეც.

— ზაზა, შენთან წერილი მაქვს.

— გამოფენაზე წაყვანილმა ჩვენმა ფუტკრებმა ხომ არ მომიგონეს? — ცოტა არ იყოს გაკვირვებით და დამცინავად ვთქვი მე.

— არა, ნამდვილად გეუბნები.

— შე კაი კაცო, რა ვუყოთ რომ მოსკოვში ბრძანდებოდი, ამიტომ ჩვენისთანა პატარა კაცებიც არ უნდა დაგვჯაბნო, რადგან იმდენი საქმე, რაც ერთ ფუტკარს შეეძლო სკისათვის გაეკეთებია, მეც გავაკეთე შენი დიდებისათვის! — აშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარა წყენით მივახალე მე, რადგან მეგონა დამცინოდა, თუმცა როგორ არ მეგონებოდა, როცა, მოგეხსენებათ ჩემი ამბავი, მამიდაშვილები მე არ მყვანან მოსკოვში და დეიდაშვილები.

— არა გჯერა და ნურც ახლა დაიჯერებ!

წერილი მაინც ჩამოვართვი, თუმცა ვიფიქრე: ხუმრობს, უბრალოდ მისამართწაჯღაბნილი კონვერტია-მეთქი. მისამართს ზერელედ თვალი გადავავლე, გავკეცე და ჯიბეში ჩავიდე. არ მინდოდა სხვებსაც გაეგოთ ჩემი გაბიაბრუება და ვცადე ისევ ხუმრობაში გამეტარებინა ყველაფერი. ჩემზე თვალმოპყრობილ ბავშვებს კი ავუხსენი: ჰო, ვიცანი ნაწერი, ვიცანი, მისი ხელია... წაკითხვა არაფერი აუცილებელია, რადგან თითქმის ყოველთვის ერთნაირი შინაარსის წერილებს მწერს-მეთქი.

— ესეც თქვენ, საერთო წერილია ჩვენი წრის წევრებისათვის.

წერილი რომ ბავშვებმა გაიტაცეს, მე ცოტა არ იყოს შევფიქრიანდი: „ეე, აქ საქმე სახუმროდ არ უნდა იყოს-მეთქი“, და ვიკადრე ჯიბეში ხელის ფათური.

„ ძვირფასო ზაზა,“ — მწერდა ვიღაც რუსულად.

„ოჰო! ეს ვინ უნდა იყოს?“ — ვკითხე ჩემს თავს ხმამაღლა.

მეხსიერება სასწრაფოდ გადმოვაქოთე, რომ ვინმე მოსკოველი, თუნდ ერთი შეხვედრით გაცნობილი მომეგონებინა, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

კითხვა განვაგრძე:

„მირიანმა გვიამბო შენს შესახებ“...

— ყოჩაღ, მირიან! — მოვიწონე მე, მაგრამ რატომღაც მაინც არ მჯერა: რა შვილია მირიანი — სახელში მონაწილეს გაიჩენდა-მეთქი.

„ჩვენ დიდად აღტაცებული ვართ შენი მაშინდელი მოხერხებით, როცა სკა ხიდან ჩამოიღეთ, ერთი ცარიელი მორი მაღლა რომ ადიოდა, მეორე კი ნელი სვლით ეშვებოდა ძირს!...

ისე დაწვრილებით მიყვებიან, ეტყობათ თითონვე იქ ბრძანებულან!

„ხელოვნური სკაში გადაყვანისას ფუტკარმა სასტიკად დაგკბინა და მთელ კვირას ცხვირგასიებული დადიოდი...

ისიც ვიცით, თუ როგორ დღედაღამ ზრუნავდა ბაზაზე მირიანთან ერთად და ფუტკრების მტრის — ბაზის ადგილსამყოფელიც კი აღმოაჩინე უზარმაზარ ტყეში და ღამე ცეცხლით გაანადგურე. შურდულით აფრთხობდი კვირიონებს — ჩვენ მათ ფუტკარიჭამიებს ვეძახით“.

გამოდის, რომ ისიც ეცოდინებათ — მე რომ ახალფეხადგმულს თურმე ფუტკარმა ტერფში მიკბინა. ძალიან კარგი!

„თქვენი ფუტკარი საუკეთესო ჯიშისაა — გრძელხორთუმიანი, რომელსაც ერთიორად მეტის შოვნა შეუძლია, ვიდრე ჩვენებურს. გთხოვთ პირადათ შენ და თქვენი წრის წევრებს (იმათაც ცალკე მივწერთ) მომავლისათვის გამოიყვანოთ რამდენიმე დედა ფუტკარი და გამოგვიგზავნოთ ან, უმჯობესი იქნება, მომავალ წელს სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე რომ ჩამოხვალთ, ჩამოგვიყვანოთ.

ჩვენს შესახებ არაფერს გწერთ, ამაზე თვითონ მირიანი გიამბობთ, რაც თავისი თვალით ნახა.“

ჰო, საერთოდ უხერხულია საკუთარ თავზე ილაპარაკო კაცმა, — დავეთანხმე მეც.

„ძვირფასო ზაზა, გისურვებთ წარმატებას.“

ქვემოთ ხელს აწერდნენ სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეები. ვალოდია ზიბოროვი, ნიურა ივანოვა და საშა პავლენკო.

სოფელში ბავშვები თანდათან გამოეთხოვენ მირიანს და სახლებისაკენ გასწიეს.

ორღობეში მე და მირიანმა ჩვენი უბნისაკენ გადავუხვიეთ. მინდოდა მეკითხა... ბევრი რამ მინდოდა მეკითხა, მაგრამ...

— იცი? — თვითონ შემაჩერა მირიანმა ჭიუკართან. — პასუხი დღესვე უნდა გაგზავნო.

— იქნებ გერჩია რა მივწერო... — მინდოდა მეთქვა: „შენ ხომ სხვა კაცი ხარ და გეცოდინება-მეთქი.“

— მისწერე უბრალოდ, რასაც შენ აკეთებ, ან რასაც ფიქრობ. უსურვე ის, რაც შენ ნამდვილად გინდა მათთვის. სხვათაშორის, ძალიან კეთილი გულის ბავშვებია... მე იქ მისაყვედურეს კიდეც, რომ შენც ჩემთან ერთად... ჰო მართლა, არ დაგავიწყდეს, მომავალ წელს შენც უსათუოდ წამოხვალ. მონაწილეობა უნდა მიიღო გამოფენაში.

— უნდა მივიღო, თუ კი....

— თუ კი... არ არსებობს! — გამაწყვეტინა მირიანმა.

— ჰო, „არ არსებობს!“ — ველარ შევედავე „სხვა კაცს“.



ეროვნული ბიბლიოთეკა

როსტომ ელანიძე

ნახ. ნ. შალიკაშვილისა

დამწყვდეული თევზები

1

ერთ კვირა დღეს ნიკო და ძია თედო ალაზნის ჭალაში მეშას ამზადებდნენ. საღამოს, შინ რომ ბრუნდებოდნენ, მდინარის ცოტა მოშორებით კალოსოდენ ტბას წააწყდნენ. ტბა ყოველი მხრიდან ჩაკეტილი იყო, წყალი არსაიდან უერთდებოდა და არც გადიოდა.

ტბაში აუარებელი წვრილი თევზი ირეოდა — ლიფსიტიდან დაწყებული, გოჯა, ციდა, მტკაველა. ზოგი უფრო მოზრდილიც გაიელვებდა ხოლმე აქა-იქ; უმეტესობა ტბის ნაპირებსა და ზედაპირს აწყდებოდა, განუწყვეტლივ პირს აღებდა და ჰაერს იტაცებდა.

— უჰ, რამდენი თევზია, ძია თედო! ანკესი ან ბადე მაინც წამოგვეღო! — წამოიძახა აღტაცებით ნიკომ და ნაპირზე მიმდგარ წვერას ხელი წაატანა...

— საცოდავები! ამათ რაღა ბადე უნდათ, ისედაც დამწყვდეულები არიან, სულს ძლივს ითქვამენ. — დაიწყო თედომ. — ასეა, როცა მდინარე დიდი, ხანგრძლივი წვიმების გამო ადიდდება, ნაპირებზე გადმოვარდება, ასეთი ღრმა ტაფობები წყლით აივსება; იმ დროს აბობოქრებულ მდინარეს მთელი არე-მარე თან მოაქვს, ანგრევს ნაპირებს, გლეჯს ვეება ხეებს, მოათრევს ქვა-ლოდსა და ღორღს, ამიტომ ყველა ცოცხალი არსება უფრთხის მას და ერიდება, განსაკუთრებით თევზები. აქუხდება თუ არა, ყველანი მყუდრო თავშესაფარს ეძებენ, ზოგი ფსკერს გაეკვრება, ზოგი ნაპირებს, შედიან მცირე ტოტებში, ტბებში და წყლის ქვედა მღვიმეებში. როცა მდინარე დაწყნარდება, ძველ კალაპოტში ჩავარდება, მის ნაპირებზე რჩება ასეთი ტბები, სადაც ხშირად აუარებელი თევზი ემწყვდევა ხოლმე, უფრო მეტად მცირე ზომისა; ისინი იქ პირველ ხანებში კარგად გრძნობენ თავს, ოღონდ როცა საკვები შემოელევათ, წყალი გათბება, ჰაერი შემცირდება — ცუდ მდგომარეობაში ვარდებიან, არსებობა უჭირთ, აი, როგორც ახლა ამ თევზებს. ესენი აქ ცოტა ხანიც რომ დარჩნენ, ყველანი დაიღუპებიან. შეხედე, თანაც რამდენი მტაცებელი უბრიალებს თვალებს! აი, ის ყვავები, ყანჩები და ქორები ამათ შემოსტრიალებენ. მათი ნაფეხურებით ტბის ნაპირები აჭრელებულია, უნდათ როგორმე კლანჭები გაჭკრან.

— ძია თედო, ხომ შეიძლება ამათი გადარჩენა? — შეწუხებით იკითხა ბავშვმა. — წყალი რომ ვედროებით ამოიღვაროს და თევზები მდინარეში გაიშვას...

— სრულიად ადვილად შეიძლება შველა, ოღონდ ვედროებით კი არა, — უპასუხა ძია თედომ, — ტბიდან მდინარემდე სულ მცირე მანძილია, გაიჭრება პატარა არხი და მთელი ტბა თავის თევზებიანად მდინარეში გადავა; მართლაც შესანიშნავი იქნება! — განაგრძო კიდევ უფრო დაბეჯითებით, მცირე ჩაფიქრების შემდეგ. — სულ ცოტა რომ ვთქვათ, ამ ტბაში ერთი ათასი საქვირითე თევზი მაინც იქნება, ერთი თევზი გამრავლებაზე იძლევა 6000-60000 ქვირითს, აქედან გამოჩეკილი ლიფსიტების ნახევარზე მეტი მაინც გადარჩება და გაიზრდება...

— ეს რამდენი გამოვა! — გაიკვირვა პატარა ბიჭმა და დასახელებული ციფრები ჯოხის წვერით იქვე სილაზე მოხაზა, ერთი მეორეზე გადაამრავლა და გასაოცარი რაოდენობის თევზი მიიღო.

— ხედავ, რამდენი სიმდიდრეა?! — დაუმატა ღიმილით ძია თედომ. — ეს სიმდიდრე ხალხს ეკუთვნის, ჩვენ კი ვერ ვუფრთხილდებით როგორც საჭიროა.

2

მეორე დღეს ნიკომ სკოლაში ნორჩ ნატურალისტთა წრის შეკრებაზე უამბო ამხანაგებს დამწყვდეული თევზების შესახებ და ურჩია წასულიყვნენ მათ გადასარჩენად.

ეს აზრი ყველას მოეწონა, ყველანი დაეთანხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მნენ, მხოლოდ სიკა ტუსაურმა გაახურა უარი. რაღაცეები მოიმიზეზა, სამაგიეროდ თავში ავი ფიქრები აიშალა. შეკრებიდან გამოვიდნენ თუ არა, ქუსლაანთ ფირუზასთან გაქანდა. ფირუზა მას რანდეაბიე წლით სკარბობდა, ცუდი ყოფაქცევის გამო სკოლიდან იყო გარიცხული და ახლაც სოფლის ავქამანდა ბიჭების წინამძღოლად ითვლებოდა.

— ქუსლა, საკბილო გიშოვე, ბიკო! მიდი, ახლავე ცეცხლი გააჩალე, შამფურები გათალე, იცოდე, საქმე დასწრებაზეა! — მიახალა მისკლისთანავე ტუსაურმა ფირუზას.

— ნუ გააკირე, თქვი რა გინდა, რისი ცეცხლი, რისი შამფური?!

— რა და, გუშინ ხრიალაანთ ნიკოს თხილიფონთან წყალდიდობისას დარჩენილი ტბა უნახია თევზებით გაქედილი. ამ თევზების გათავისუფლებას აპირებენ ჩვენი სკოლის ნატურალისტები — უნდათ არხი გაუჭრან და მთელი ტბა მდინარეში გადაუშვან.

— გაგიჟებულან! თევზი კი არ უნდა გაუშვა, წყლიდან ცეცხლში უნდა გადააგდო! იმ ტბას ერთი დინამიტი საკირესავით ადუღებს, ამოხვეტავს და დააშრობს! — მოსჭრა ქუსლაშვილმა.

მართლაც, არ მოტყუვდნენ — ქუსლაანთ ბიჭის ამქარს წააწყდნენ ტბასთან.

— გზის მშენებლობის საწყობი ხომ იქნებ...

— ვიცი!

— ის საწყობი ტუჩაანთ გოგას აბარია. იმის ბიჭს მოვაჯდეთ კისერზე და ნულარ ჩამოვალთ, სანამ დინამიტებს არ გამოაცოცებს იქედან, გაიგე?!

— კარგი აზრია, ოღონდ ნუ გავაგებინებთ რისთვის გვინდა თორემ შეიძლება გაგვცეს.

— ეგ მე ვიცი! ის თვითონაც წამოვა, სანნი უფრო კარგა ვითევზავებთ. იმ გუბის გარდა სხვებსაც ავაფეთქებთ და თევზი რიყესავით გაიშლება...

3

მეორე დილით, გათენებისას ნიკო და მისი ამხანაგები ალაზნისაკენ დაეშვნენ; ბიდიოდნენ და თან ერთიმეორეს აჩქარებდნენ — უნდოდათ სამუშაო მალე მოესწროთ და დროზე დაბრუნებულიყვნენ.

— შეხედეთ, ამ წუთში, ჩვენზე წინ ვიღაცას გაუვლია. აი, ახალი ნაფეხურები! — წამოიძახა ტოტომ, როცა ჭალაში შევიდნენ.

— ტყუილი! ასე ადრე აქ ვინ გაჩნდებოდა?! — არ დაიჯერეს სხვებმა და გზას ჩხრეკა დაუწყეს. მალე ერთის მაგიერ სამი კვალი იპოვნეს. რბილ ნიალაზე აღბეჭდილი კვალი პირდაპირ ტბისკენ მიდიოდა.

— ნამდვილად დაგვასწრო ვიღაცამ! — თქვა ერთმა.

— თუ ბოროტი განზრახვით არიან მოსული, ერთი წავუთავაზოთ და იმისი ჯანი! — დააყოლა მეორემ.

მართლაც, არ მოტყუვდნენ — ქუსლაანთ ბიჭის ამქარს წააწყდნენ ტბასთან; ისინი ნაღმებს ამზადებდნენ ასაფეთქებლად.

— სიკა, ეს ჯადო შენი დაგებულია, გუშინ მელასავით რომ გაიპარე შეკრებიდან! — მიახალა ნიკომ ტუსაურს და თან ქუსლაშვილს შეუბღვირა.

— ჩავაყუდოთ ტბაში!

— ეგ ამხანაგობის ღირსი არ არის.

— მოღალატე! ორგულა! — ადუღდნენ ბიჭები და ზედ მიიწიეს.

— ახლოს არ მოხვიდეთ, თორემ თევზების ჯავრს თქვენზე ვიყრი! — დაატრიალა ნაღმი ქუსლაშვილმა.

— ფრთხილად!

— არ გაბედო!

— სთხლიშე ხელში ბარი და გათავდა! — ისმოდა შეძახილები და თან მუმლის გუნდასავით ტრიალებდნენ ბიჭები ტბის ნაპირზე.

შუღლისა და მუქარის ნიაღვარი ანაზდად ურმის ჭრიალმა შეანელა, რომელიც ის იყო მაშინლა შემოაგორეს ირმამ და ნიკორამ ტბის განაპირა ველზე.

— ძია თედო, შეხედეთ რას გვიშვრება ეს ქუს-

ლაანთ კრაზანა! — აღელვებით შესძახა ნიკომ მეურმეს.

— აბა, ეგენი არ იყოს! ვის გაუგია წყალში თევზის გაყოფა! — გადმოუხტა მოჩხუბრებს მეურმე და შუაზე სახრე გადაუღობა; მაშინვე სამართალი გაუჩინა, დააშოშმინა და ბოლოს თვითონაც ნიკოს ჯგუფს შეუერთდა.

— აი, ასე გაიყვანეთ არხი, ეს უმოკლესი მანძილია ტბიდან მდინარემდე, თანაც, რბილი ნიადაგია, ადვილად გაიჭრება, — ურჩია პატარებს და პირველად მან გაავლო ბარით კვალი.

— თქვენ ჯავრს მაინც არ შევჭამ!, გიყველებთ სადმე! — დაიბუშტა ქუსლაშვილმა და გასწია თავის ამქრიანად.

სამუშაო სწრაფად წავიდა. არხი დამთავრდა თუ არა და წყალმა დენა დაიწყო. ერთი ამხანაგი არხის ბოლოში დააყენეს და დაავალეს მდინარეში გასული თევზები დაეთვალა...

ტბიდან წყლის დენამ იმატა, შლამიანი კალაპოტი თანდათან გაჭამა და გააღრმავა.

თევზებმა ტბის დაკლება მალე იგრძვნეს, ჯერ ფსკერს ეცნენ, შემდეგ ნაპირებს, აიშალნენ, აირივნენ და ბოლოს იკადრეს არხში გადასვლა.

— როგორც ეტყობა, აქ მსხვილებიც [illegible] ვდეულან! — თქვა ძია თედომ და გრძელი ჯოხით ფრთხილად დაუწყო ტბის ფსკერს ჩხრეკა. ამის გამო თევზები კიდევ უფრო აირივნენ და მდინარისაკენ გასასვლელს მიეძალნენ.

— რამხელა წვერამ ამოყო დინგი!

— აი, იქით იმაზე დიდმა კობრმა გაიქროლა!

— იქ კიდევ ხრამულმა ამოიქნია ბოლო! — ერთი მეორეს აღარ აცლიდნენ ბავშვები და თან ტბას ურბენდნენ გარშემო.

— ამ ტოტოჩინების გაშვება არც ისე სახარბიელოა!—გაბედა ვიღაცამ. მას სხვებიც წამოეშველნენ, ბოლოს ნიკოც დაიყოლიეს და ერთ აზრს დაადგნენ.

რამდენიმე საათის შემდეგ შეშიანმა ურემმა ჭრიალით ამოიარა სოფელზე, მის ჭალებზე სამი ვეება კობრა ეკიდა, სამი ჭანარი და ორიც წვერა. მათი დასისხლიანებული ბოლოებიდან ჯერ კიდევ სისველე სწვეთავდა. ხელბარიანი ბავშვები უკან მოჰყვებოდნენ, ოხუნჯობდნენ და იცინოდნენ.

ბაქიბუქა

(ტ. ატნილოვიდან)

მწვანე ველზე თაფლა ხარი
ბალახობდა არხეინად
რასაც რქები დაატაკა,
არაფერი ახეირა.

თვალებს ცეცხლით აკვესებდა —
ძლიერების მაუწყებლად.
შეხვედრისას, გააფთრებულს,
თვით სპილოც ვერ გაუძლებდა.

თემური კი შორიახლო
ტრაბახობდა პატარებში:

— აღვირი რომ მაშოვნინა,
ჩემს ნებაზე ვატარებდი.

უცებ დაფრთხა თაფლა ხარი,
გაშმაგდა და იღრიალა.
გადაფითრდა ბაქიბუქა,
ველარ იყო რიხიანად.

გაექანა სოფლისაკენ,
სულს ითქვამდა გაჭირვებით.
აღვირისთვის გაიქცაო, —
დასცინოდნენ ყმაწვილები.

გურამ გოგიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსწავლეთა



„ბათუმისაკენ“ (აკვარელი)
ალ. ჟღენტი. თბილისის 55-ე საშ. სკოლის IV კლასის მოსწავლე.

ჩემი სოფელი

აზურმუხტებულ ბორცვებზე
მიმობნეულან ოდები.
შრიალებს ზვარი ვაზისა,
ბუჟვანედ ბიბინებს კორდები.

ავსილა ულვი დოვლათით
ზღვად გადაშლილი ყანები...
ჭირიმე ჩემი სოფლისა,
ჩემს სოფელს ვეთაყვანები.

ვახტანგ კვეიძე.

მაიაკოვსკის რაიონის სოფელ წითელხევის საშუალო სკოლის მოსწავლე.

ლენინის წიგნი

ლამაზი იყო ყვავილთ ფანტელი
ნუშის ტოტიდან გადმოცვენილი.
მე ხელში მეპყრა წიგნი ნათელი,
ოქროდ ელავდა მასზე ლენინი.

მისდევდა ბრძნული სტრიქონი სტრიქონს,
თვითონ არ ვიცი რაზედ ვფიქრობდი,
ალბათ იმიტომ — მეჩვენა თითქოს
მე მიღიმოდა დიდი ბელადი.

ფურცლებს ჩავცქერდი, წიგნი გაშლილი
თვალწინ სახავდა ახალ სურათებს:
ლენინის გვერდით დგას ჯუღაშვილი,
ორი მზე ერთად ხალხს გზას უნათებს.

უეცრად ქარმა აფრა აიშვა,
აპრილის ქარი შეარხევს რტოებს..
და გაზაფხული სიცოცხლის ნიშნად
ლენინის წიგნში ნაზ ყვავილს ტოვებს.

ზაზა აბზიანიძე,
თბილისის 47-ე სკოლის მოსწავლე.

მოხუცის პორტრეტი (თიხა)

თბილისის 77-ე საშუალო სკოლის მოსწავლის თენგიზ კიკალეიშვილის ნამუშევარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა შემოქმედება

ბებია შუშანა

6904

ჩვენს ქუჩაზე, 55-ნომერ სახლში ერთი მოხუცი ქალი ცხოვრობს — ბებია შუშანა. იცით როგორა აქვს გათეთრებული თმები ბებია შუშანას?! არც შვილი ჰყავს, არც შვილიშვილი, მაგრამ ჩვენ ყველას შვილებს გვეძახის.

ერთხელ ბებია შუშანამ ჩვენს ეზოში შემოიარა და გვისაყვედურა: „ასე მიყვარს თუთა, თქვენ კი ერთხელაც არ მოგაგონდითო.“ (ჩვენს ეზოში ხომ დიდი თუთის ხე დგას!) მაშინ თუთა უკვე მოლეული იყო, მაგრამ მე მეორე ზაფხულამდე არ დამვიწყებია ბებია შუშანას საყვედური. და აი, როდესაც კვლავ დამწიფდა თუთა, ერთი თეფში პირამდე ავავსე და შუშანა ბებიასკენ გავწიე. კიბეზე ავედი და აივანზე შევძახე.

— მოდი, შვილო, სახლში ვარ, — ოთახიდან გამომძახა ბებია შუშანამ.

ფრთხილად შევაღე კარი და გაუბედავად შევედი. არასოდეს არ ვყოფილიყავ ბებია შუშანას ბინაში. ცოტა არ იყოს, გამიკვირდა ყველაფერი კოპწიად რომ ჰქონდა მოწყობილი. თეფში იქვე პატარა მაგიდაზე დავდგი.

— ეს რა, თუთა მომიტანე, გოგონი?

მე უკანვე ვაპირებდი გამობრუნებას, მაგრამ მან მაგიდასთან მიმიყვანა და კანფეტი შემომთავაზა. მე დავირცხვინე და უარი ვთქვი. მაინც არ მომეშვა. ბოლოს თეფში დამიცალა და, როდესაც კარებში გამოვდიოდი, მითხრა:

— გმადლობთ, ჩემო მერსედეს!

სახლში დაფიქრებული მივედი: რატომ მიწოდა ბებია შუშანამ მერსედესი-მეთქი, ამის ფიქრში თავს ვიმტვრევდი. ბებია შუშანამ ხომ კარგად იცის, რომ მე მერი მქვია და არა მერსედესი?! იქნებ ძმეფერა? მაგრამ არა, მერსედესი ხომ ქალის სახელია მხოლოდ?!

მე დიდხანს ვფიქრობდი ამაზე, მაგრამ ვერ იქნა და ვერ მივხვდი, რატომ მიწოდეს მერსედესი.

მაინც, გადავწყვიტე დედისთვის მეკითხა. ვიფიქრე, იქნებ ეს სახელი ისეთ გამოჩენილ ქალს ეკუთვნის, როგორიც, მაგალითად, რაიმონდა დიენია, ან ჩვენი მაია წყნეთელი?! მაგრამ უმალვე ჩემს თავზე მე თვითონ გამეცინა. რა კავშირი უნდა ჰქონდეთ ასეთ გამოჩენილ ადამიანებს ჩემთან, რომელსაც სულ ორიოდ კაცი თუ მიცნობს ქვეყანაზე!

დედაჩემმა გაიცინა და მითხრა: მერსედესი ქალის სახელიაო.

ეს ხომ მეც ვიცოდი!

ასე რომ, ვერც დედაჩემმა დამაკმაყოფილა და მეც თავი აღარ შევიწუხე.

* * *

გავიდა კარგა ხანი. ეს ამბავი მე აღარც მახსოვდა და იქნებ აღარც გამხსენებოდა, რომ ერთხელ დედას არ გავეგზავნე ბებია შუშანასთან.

მივედი და კარზე დავაკაკუნე.

— მობრძანდით!

ფრთხილად შევაღე კარი და შევედი ჩემთვის უკვე ნაცნობ ოთახში. ბებია შუშანა ტახტზე იჯდა და წიგნს კითხულობდა. როდესაც ზევით აიხედა, გამიღიმა და ტკბილად მითხრა:

— მოდი, მერსედეს!

მე მომაგონდა ეს სახელი და ახლა კი ვეღარ მოვითმინე, გაბედულად ვკითხე, თუ რატომ მიწოდებდა „მერსედესს“.

მან სკამზე მიმითითა და მანიშნა: დაჯექი და ყველაფერს გეტყვიო. მეც მორჩილად დავჯექი მის მახლობლად.

აი, რა მითხრა მან:

— მე მაქვს ერთი წიგნი, რომლის მთავარი გმირი — ქალია, მას მერსედესი ჰქვია. მიდი თაროსთან და აი, ის წიგნი ჩამოიღე... პალმა რომ ახატია.

მივედი, ჩამოვიღე წიგნი და ცნობისმოყვარეობით გადავათვალიერე. მეგონა სულ ეს იყო, მაგრამ ბებია შუშანამ განაგრძო:

— მე მყავდა ქალიშვილი, რომელსაც ჩემი საყვარელი სახელი — მერსედესი დავარქვი. ეს სახელი ამ წიგნმა შემაყვარა... — იგი შეყოყმანდა წუთით, შემდეგ საჩქაროდ დაუმატა: — ახლა აღარა მყავს... ხომ მიხვდი გოგონა, რატომ დაგიძახე მერსედესი?

თვალზე ცრემლი მომადგა. ფეხზე წამოვდექი და შუშანა ბებიას პირი მოვარიდე — არ მინდოდა მისთვის ცრემლი მეჩვენებინა. ხელში ისევ ის წიგნი მეჭირა — „მერსედეს კასტილიელი“. ცრემლები მოვიწმინდე და მუდარით შევხედე მოხუცს. ისიც მიმიხვდა, და მითხრა:

— წაიღე, შვილო!

გამოვემშვიდობე და მძიმე ნაბიჯით შინისაკენ გავწიე.

მერი პაპუნაშვილი,

თბილისის 47-ე საშუალო სკოლის მოსწავლე.

ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარიზონ პაპლოშვილი

ნახ. რ.ცუცქირიძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედის გული

როცა შვილი იბადება —
კერის ფუძე
და იმედი,
სხვებზე მეტად დიდ სიხარულს
ვინ განიცდის?
— გული დედის!

თავზე პირმშოს ვინ ევლება,
სასოებით ვინ შეჰყურებს?
დღედაღამე მისთვის ზრუნავს,
სიცოცხლესაც არ იშურებს.
უყოყმანოდ შვილისათვის
თავგანწირვას ვინ გაბედავს?
— მხოლოდ დედა!

როცა შვილი ავად არის,
ეხუთება სიცხით სული,
დნება, იწვის, სასთუმალთან
უდარაჯებს აღსასრული;

ვინ ათენებს მისთვის ღამეს,
ვინ თრთის ცეცხლით გაბასრული,
ვინ არის მზად
შვილს ემსხვერპლოს? —
— დედის გული!

შვილის გულის ხვაშიადი
ძილშიაც კი დედას ესმის;
იგი არის მოზიარე
მისი დარდის უმძაფრესის.
დედის დარად არვის ძალუძს
შვილის ტრფობა და ალერსი,
მისი დიდი სიმძიმილით
დედის გულიც მარად კვნესის.
შვილს იხსნის და თავს გასწირავს
სიყვარულით გათანგული —
— დედის გული!

შვილის ლხენა ვის ახარებს,
უბედობით ვინ ვალალებს?
დაკარგვის ჟამს სიკვდილამდე
არ ამრეგა ცრემლი თვალებს.
ვის უშხამავს ყოფნის დღეებს
ნაღველი გულს ჩანალესი,
შვილზე დარდი და ოცნება
ვის ჩაჰყვება სამარეში?
ვინ არის რომ სიცოცხლის აზრს
და სიხარულს შვილში ხედავს?
— მხოლოდ დედა!

დედის გული, შვილის წრფელი
სიყვარულით დაისრული!
რამდენ მაღალ გრძნობას იტევს
უანგარო დედის გული!

გახსენება

ახლა უნდა გამოგიტყდეთ
რაც ვიყავი ბალღობაში,

როს ჯერ კიდევ არ ვვარგოდი
არც ხვნაში და არც ღობვაში.

ვიყავ ერთი ტიტლიკანა,
მაშინ ამბა რას მიცნობდით,
მუშტიკრივის მეშინოდა,
ჭიდაობა არ ვიცოდი.

ამბა, როგორ დავიქადნო
ვაჟკაცობა მაშინდელი,

ბიძა მყავდა ღონიერი —
ტოლებს ბიძით ვაშინებდი.

ზაქარია შერაზადიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



საერთაშორისო
პიონერული
ბანაკი
„მეგობრობა“

ელგუჯა ბურდული
(შუაში) ფრანგ
და გერმანელ
მეგობრებში.

ქართველი პიონერი ბულგარეთში

ელგუჯა ბურდული სამ წელზე მეტია რაც თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ქართული ცეკვის ანსამბლშია ჩაბმული. თბილისელ პიონერებს დღესაც ახსოვთ მის მიერ კარგად შესრულებული მრავალი ცეკვა. მაგრამ იგი მარტო ცეკვით როდია გატაცებული; მიზნად აქვს დასახული, — შეისწავლოს ფორტეპიანოზე დაკვრა, გერმანული ენა, არ ჩამორჩეს სპორტში და, რაც მთავარია, ყველა გაკვეთილი ხუთზე დაამზადოს.

საზაფხულო არდადეგები იწყებოდა, როცა პიონერთა სასახლეში მოვიდა ცნობა, რომ გადაწყდა პიონერთა სასახლიდან ბულგარეთის საერთაშორისო პიონერულ ბანაკში დასასვენებლად მოწინავე პიონერის გაგზავნა.

— ვინ გავგზავნოთ? — კითხულობდნენ პიონერთა სასახლის პედაგოგები. ბოლოს ელგუჯას გაგზავნა გადაწყვიტეს. ჰკითხეს ელგუჯას ამხანაგებსაც. — ყველამ ერთხმად ელგუჯა დაასახელა.

როდესაც ელგუჯამ ეს ამბავი გაიგო, სიხარულით დაბნეულმა წაიჩურჩულა:

— კი მაგრამ, ამ ზაფხულს დედაჩემი ქვიშხეთის პიონერულ ბანაკში მგზავნის.

უფროსებს გაეღიმათ, ელგუჯას ამხანაგებმა კი გულიანად გადაიხარხარეს.

ელგუჯა მზადებას შეუდგა. და აი, იგი ჩვენი დიადი ქვეყნის დედაქალაქში — მოსკოვშია. მოსკოვში გაიგო, რომ საბჭოთა პიონერების სამი ნაკრები პიონერული რაზმი სამი დემოკრატიული ქვეყნის: ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის და ბულგარეთის პიონერულ ბანაკებში მიემგზავრებოდა. ელგუჯას რაზმში 10 პიონერი შედიოდა. ჩქარა მან ყველას გაცნობა და დამეგობრება მოასწრო. ყველაზე უფრო მოსკოველ პიონერს ტოლია სერგეევს დაუახლოვდა. გამგზავრებამდე თავის ახალ მეგობრებთან, მოსკოველ ტოლია სერგეევთან, ლენინგრადელ იგორ ბუსლაევთან, ტამკენტელ ფლორა ფირნაზაროვასთან, კიეველ მილა მერშჩისთან და სხვებთან ერთად დაათვალიერა დიდი ბელადების ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მავზოლეუმი, უნივერსიტეტი, სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, ტრეტიაკოვის გალერეა და მოსკოვის მრავალი სხვა ღირსშესანიშნაობა.

ელგუჯას ახალი სურპრიზი ელოდა. ხელმძღვანელებმა გამოუცხადეს, რომ ბულგარეთში წასვლას თვითმფრინავით აპირებდნენ. თვითმფრინავით არასოდეს ემგზავრა ელგუჯას და, ცოტა არ იყოს, შიშით უცემდა გული. როცა თვითმფრინავი ვნუკოვოს აეროდრომს მოსწყდა, ელგუჯამ თვალები დახუჭა, მაგრამ თვითმფრინავის რხევას მალე შეეჩვია. თვითმფრინავმა უკან ჩამოიტოვა საბჭოთა ქალაქები, შემდეგ ბუქარესტი, ბუდაპეშტი, და საღამოს ხუთ საათზე გამოჩნდა ბულგარეთის დედაქალაქი — სოფია. თვითმფრინავმა უკლო სიჩქარეს და ნელა დაეშვა აეროდრომზე. საბჭოთა



ბულგარეთის მიწაზე ჯერ ფეხი არ დაედგათ საბჭოთა პიონერებს რომ მასპინძლებმა უმალ სურათი გადაუღეს.

პიონერებს ბულგარელი პიონერები თაიგულებით შეეგებნენ.

რუსულ ენაზე გაისმოდა: „გაუმარჯოს საბჭოთა პიონერებს!“

„გაუმარჯოს ბულგარელ „სექტემბრელებს!“ „ჩვენი სალამი!“ — პასუხობდნენ სტუმრები. აეროპორტში. კარგა ხანს ისმოდა ბულგარული და რუსული შეძახილები. სტუმრებმა და დამხვდურებმა პიონერული ნიშნები გაცვალეს.

ელგუჯა და მისი ამხანაგები სოფიაში რამდენიმე დღეს დარჩნენ. ელგუჯამ საინტერესო ექსკურსიებში მიიღო მონაწილეობა და ძალზე მოეწონა ბულგარეთის დედაქალაქი.



საბჭოთა პიონერებზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ბულგარეთის კომუნისტების ნაცადი ხელმძღვანელის — გიორგი დიმიტროვის მავზოლეუმმა.

„ბულგარეთის დედაქალაქ თბილისს წააგავს, თბილისი გამწვანებით სოფიას სჯობნის. ქალაქის მცხოვრებლები ქართველებს მაგონებდნენ გარეგნულად... ვუყავით ქალაქგარეთ, მთაზე, საიდანაც სოფია ხელისგულივითაა გადაშლილი ისევე, როგორც თბილისი ჩვენი საამაყო სტალინის პლატოდან...“ — გვიამბობს იგი.

ელგუჯას ძალიან მოეწონა 9 სექტემბრის სახელობის მოედანი, ქალაქის ახალი ქუჩები და შენობები. საბჭოთა პიონერებზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ბულგარეთის კომუნისტების ნაცადი ხელმძღვანელის — გიორგი დიმიტროვის მავზოლეუმმა; სოფიის პიონერებმა კარგა ხანია რაც მიიღეს ახალი ძვირფასი საჩუქარი — ვილკო ჩერვენკოვის სახელობის პიონერთა სასახლე. ამ სასახლეში ყველა პირობაა შექმნილი ბულგარელი პიონერების გონივრული დასვენებისათვის.

სასახლის ბიბლიოთეკაში ელგუჯა ბულგარელ პიონერებს შეხვდა, რომლებიც გატაცებული არიან საბჭოთა მწერლების საბავშვო ნაწარმოებებით. აქ მან გაიგო, რომ მარტო 1954 წელს ბულგარეთში გამოვიდა 100-ზე მეტი საბავშვო წიგნი 1.107.000 საერთო ტირაჟით. ბულგარელი ბავშვები დიდი სიყვარულით კითხულობდნენ ალექსანდრე ფადეევის „ახალგაზრდა გვარდიას“, ბიჩერ სტოუს „ბიძია თომას ქოხს“, დანიელ დეფოს „რობინზონ კრუზოს“, ჯანი როდარის „ჩიპოლინოს თავგადასავალს“ და სხვ.

პიონერთა სასახლის დათვალიერებისას ელგუჯამ სასახლის აქტივისტებს უამბო თბილისის პიონერთა სასახლის მუშაობის შესახებ. ბავშვები ისე დაინტერესდნენ, რომ ელგუჯას თხოვეს დაეწერა პატარა სტატია ბულგარელი პიონერების საყვარელი გაზეთის „სექტემბრელებისათვის“. ელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუჯამ პირობა შეასრულა და მალე მისი წერილი თბილისის პიონერთა სასახლის შესახებ გაზეთში დაიბეჭდა კიდეც.

ელგუჯას არ ჩამორჩენენ მისი საბჭოთა მეგობრები და მათაც მოათავსეს წერილები საბჭოთა კავშირში პიონერების ბედნიერი ცხოვრების შესახებ. იმავე გაზეთის პირველ გვერდზე დაიბეჭდა ს. კრალევის მოწინავე სტატია სათაურით: „კეთილი იყოს თქვენი მოსვლა ბულგარეთის მიწაზე!“

ჩქარა საბჭოთა პიონერებმა სოფია დატოვეს და კვლავ თვითმფრინავით გაემგზავრნენ საერთაშორისო პიონერულ ბანაკისაკენ, რომელიც ქალაქ სტალინის მახლობლად, შავი ზღვის პირასაა გაშენებული. ქალაქ სტალინის აეროდრომზე საბჭოთა პიონერებს დახვდნენ ბულგარელი, ბელგიელი, ფრანგი, ჩეხოსლოვაკი, ისრაელის და სხვა ქვეყნების პიონერები. საბჭოთა პიონერები ავტობუსით გაემგზავრნენ ბანაკისაკენ, რომელიც პირველ დღიდანვე საყვარელ ადგილად გადაიქცა მათთვის. ბანაკი ჩაფლული იყო მარადმწვანე და სუბტროპიკულ მცენარეებში. ცოტა მოშორებით კი შავი ზღვა ლივლივებდა.

ბანაკში საბჭოთა პიონერებს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს. პიონერებისათვის პირველად დიდ სიძნელეს ერთმანეთთან ლაპარაკი წარმოადგენდა. მაგრამ შემდეგ გაირკვა, რომ ელგუჯა გერმანულ ენაზე ახერხებდა ლაპარაკს, ინგლისელები და ბულგარელები — რუსულად ლაპარაკობ. ზოგნი კი ხელებით ესაუბრებოდნენ ერთმანეთს. ბავშვებს ხშირად მთარგმნელები ეხმარებოდნენ.

საინტერესო შემთხვევა მოხდა პირველ დღეს. ისევე, როგორც ყველა ერს, ბულგარელებსაც თავისებური ჩვეულება და წესები აქვთ. თუ ქართველები თანხმობის ნიშნად თავს ზემოდან ქვემოთ დაიქნევენ ხოლმე, ბულგარელები თანხმობის ნიშნად ჰორიზონტალურად იქნევენ. როდესაც ბანაკის უფროსმა საბჭოთა პიონერებს ჰკითხა: „გეყოთ თუ არა სადილიო?“, საბჭოთა პიონერებმა თანხმობის ნიშნად თავი დაიქნიეს. ამის პასუხად ბანაკის უფროსმა დამატებითი ულუფა მოატანინა. ბავშვებმა ერთმანეთს გაკვირვებით გადახედეს, ხოლო, როცა გაიგეს რაშიც იყო საქმე, სიცილ-კისკისით წამოიშალნენ და თავის ჰორიზონტალური გაქნევით უფროსს ანიშნეს, რომ ისინი საკმაოდ დანაყრებულნი იყვნენ.

საინტერესო და მხიარული იყო ბანაკის ყოველი დღე. საბჭოთა პიონერების რაზმმა შეისწავლა ბულგარული სიმღერა: „პეპერვლი“, რომელსაც ხშირად ასრულებდნენ ტრადიციულ მეგობრობის საღამოებზე და სხვა ბანაკების პიონერებთან შეხვედრების დროს. საბჭოთა პიონერები თვითშემოქმედებით საღამოებზე გამოდიოდნენ რუსული, უკრაინული, ბულგარული, უზბეკური, ქართული ცეკვებითა და სიმღერებით. ელგუჯა სხვებს არ ჩამორჩებოდა და ხშირად თავისი ქართული ცეკვით მაყურებლის დიდი აღტაცება გამოუწვევია.

დაუვიწყარი იყო ბულგარეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან — ვილკო ჩერვენკოვთან შეხვედრა.

რაზმეულის საზეიმო შეკრებაზე ელგუჯამ თავის ბულგარელ, ჩეხოსლოვაკ, პოლონელ და სხვა ქვეყნების პიონერებს საქართველოდან თან წაღებული საჩუქრები გადასცა. თავის მხრივ არც ისინი ჩამორჩენენ და ახლა ელგუჯას სხვადასხვა ქვეყნის პიონერული ნიშნები და ყელსახვევები აქვს ჩამოტანილი.

საერთაშორისო პიონერულ ბანაკს სახელად „მეგობრობა“ ერქვა და მართლაც ყველა მეგობრობის სულით იყო გაჟღენთილი. დიდი მეგობრობა გაჩაღდა რუს ტოლიას, ბულგარელ კოსტიას და ქართველ ელგუჯას შორის. ისინი თითქმის სულ ერთად იყვნენ განუყრელად. კოსტიამ ელგუჯას ბულგარული ცეკვა შეასწავლა, ელგუჯამ კი ბულგარელ კოსტიას — ქართული სიმღერა „დილა“ და აზერბაიჯანული „ჯუჯალარი“. ხოლო კოსტიამ, როცა გაიგო, რომ ქართული სიმღერა „დილას“ ტექსტის ავტორი დიდი ბელადი ი. ბ. სტალინი იყო, მის გაკვირვებასა და აღფრთოვანებას საზღვარი არა ჰქონდა.

პიონერებმა ლაშქრობა მოაწყვეს ბანაკის ახლომდებარე მიდამოებში. გზად მრავალი საინტერესო სანახაობა შეხვდათ. მდინარე კამჩაზე იბანა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეს და ბოლოს მიადგნენ ბულგარეთის უძველეს მონასტერს, რომელსაც სახელად ალაჯა ჰქვია. ალაჯას მონასტერი მთაგორიან ადგილასაა, გარშემო ბევრია კაკალი, შინდი, დაბლა კი შავი ზღვაა გადაშლილი. ელგუჯას უნებურად საქართველო, თავისი მშობლიური მხარე მოაგონდა და თავის ბულგარელ მეგობარს კოსტიას ბულგარეთისა და საქართველოს ბუნების მსგავსებაზე ესაუბრა.

პიონერები ხშირად დადიოდნენ აგრეთვე ბანაკთან ახლო მდებარე ქალაქ სტალინში. ბანაკის პიონერებს საქალაქო პიონერულმა ორგანიზაციამ შეხვედრა მოუწყო საოპერო თეატრში. საკონცერტო განყოფილებაში ელგუჯამაც მიიღო მონაწილეობა. მან იმღერა ქართული სიმღერა „სულიკო“, „სიმღერა თბილისზე“ და „დილა“, რომლებმაც მაყურებლების საერთო მოწონება დაიმსახურა. მაგრამ ელგუჯას გასაჭირი მაშინ დადგა, როცა მან მთიულური იცეკვა. პიონერებს ისე მოეწონათ ელგუჯას ცეკვა ცერული, რომ ცეკვა რამდენჯერმე გაამეორებინეს. კულისებიდან იგი იმდენად დაღლილი გამოვიდა, რომ ცერებზე კი არა თავისი თქმით ფეხზე ძლივს იდგა. მასთან მიიჭრა მეექვსეკლასელი ბულგარელი გოგონა და მადლობა გადაუხადა კარგი ცეკვისათვის. ელგუჯამ ამ გოგონასაგან რამდენიმე დღის წინ წერილი მიიღო, სადაც იგი თხოვდა ელგუჯას დაწვრილებით ეამბნა საქართველოს პიონერების ცხოვრებაზე. წერილი მოუვიდა გერმანელი ამხანაგისგანაც... ჩქარა ელგუჯასთან სხვადასხვა ქვეყნიდან ბევრი ამხანაგი გამოგზავნის წერილს. ელგუჯას ყველასათვის პასუხის გაცემა ალბათ გაუჭირდებოდა, მაგრამ საერთაშორისო პიონერულ ბანაკ „მეგობრობას“ — მეგობრობითვე უპასუხებს.

დაუვიწყარი იყო ბანაკის ბავშვებისათვის ბულგარეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან — ვილკო ჩერვენკოვთან შეხვედრა. ვილკო ჩერვენკოვი კარგახანს ბავშვებთან ერთად მხიარულობდა. ეკითხებოდა ბავშვებს პიონერული ცხოვრების შესახებ. პიონერებმა ცეკვა-თამაში გააჩაღეს, ჩერვენკოვი აღტაცებით უყურებდა პატარების თვითშემოქმედებას, რომელთა შორის ელგუჯა ქართული ტემპერამენტიანი ცეკვით გამოირჩეოდა. პატარებმა ჩერვენკოვთან ერთად ისაუზმეს და სურათებიც გადაიღეს. შეხვედრის დასასრულს ვილკო ჩერვენკოვმა პატარებს საჩუქრები გადასცა. საჩუქრებს შორის იყო ალბომიც, რომელზედაც ვ. ჩერვენკოვის ავტოგრაფია. ელგუჯა ამ ალბომს სათუთად ინახავს, იგი ბულგარეთში მხიარულად და შინაარსიანად გატარებულ დღეებს აგონებს.

თბილისში დაბრუნებულ ელგუჯას პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის აქტივისტებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყეს. ელგუჯამ თავის ტოლებს მოუთხრო ბულგარეთში მოგზაურობის ამბავი, დასასრულს კი დასძინა:

„ძნელია სიტყვით გადმოგცეთ ის, რაც მე ვნახე და განვიცადე, მაგრამ მთავარი ისაა, რომ პარტიისა და მთავრობის ზრუნვას ჩვენ — ბედნიერმა ნორჩმა პიონერებმა — კარგი სწავლითა და შრომის სიყვარულით უნდა ვუპასუხოთ.“

ჯიმშერ ენუქიძე

ელგუჯა მოხდენილი ქართული ცეკვით ხშირად ხიბლავდა ახალშეძენილ მეგობრებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



„სომხეთის დილა“

ქართველი და სომეხი ხალხის მეგობრობას ხანგრძლივი ისტორია აქვს. ამ დიდ საქმეში ყოველთვის წამყვანი ადგილი ეჭირა მათ კულტურულ ურთიერთობას, რაც საბჭოთა ხელისუფლების პირობებში კიდევ უფრო გაცხოველდა. „საბლიტგამის“ მიერ ამასწინათ გამოცემული წიგნი „სომხეთის დილა“. ამ მეგობრობის ერთი ნათელი გამოვლინებაა.

კრებულში ოცდათვრამეტი ავტორია წარმოდგენილი. მკითხველი აქ გაეცნობა ნაწყვეტს დიდი სომეხი მწერლის ხაჩატურ აბოვიანის რომანიდან: „სომხეთის ჭრილობა“. რომანი მოგვითხრობს სომეხი ხალხის ისტორიულ წარსულზე.

ქართველი მკითხველი კარგად იცნობს სომხური ლიტერატურის კლასიკოსს ოვანეს თუმანიანს. ჩვენს ბავშვებს ახსოვთ და უყვართ მისი „გიქორი“, „ანუშა“ და სხვა ნაწარმოებები. ამ კრებულში ოვანეს თუმანიანი წარმოდგენილია მცირეფორმიანი ნაწარმოებებით „მგზავრები“, „დედა“, „ოქროს ქალაქი“, „უძლეველი მამალი“.



სომხურ საბავშვო ლიტერატურაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ყაზაროს ალაიანს. იგი არ არის მარტო პოეტი. მის კალამს ეკუთვნის მოთხრობები, ზღაპრები. კრებულში მოთავსებულია მისი საინტერესო ზღაპარი „ლერწამი“.

აქვეა მოთავსებული პოეტ-აკადემიკოს აველიკ ისაკიანის ორი ლექსი და ზღაპარი „ყველაზე საყარგებლო რამ“. აველიკ ისაკიანი ხალხთა მეგობრობის დიდი მომღერალია. იგი ამჟამად 80 წელსაა მიღწეული, მაგრამ მაინც ნაყოფიერად მუშაობს. ისაკიანის ლექსები ხალხისათვის ადვილად გასაგებია და მელოდიური.

კრებული თემატურად მრავალფეროვანსა და საინტერესო მასალას შეიცავს. მკითხველს საშუალება ეძლევა წარმოდგენა იქონიოს სომხურ საბავშვო მწერლობაზე. აქ იგი გაეცნობა: დ. დამირჩიანის, ს. ზორიანის, გ. არაზის, ნ. ზარიანის, ბ. სეიროანიანის, ზ. დარიანის, ს. კაპუტიკიანის, გ. ბორიანის, გ. ემინის, გ. სევუნცის, ო. შირაზის, ვ. ვარდანიანის, ო. გულაზიანის და სხვათა მოთხრობებს, ზღაპრებს და ლექსებს. სომეხი მწერლები თავიანთ საბავშვო ნაწარმოებებში ასახავენ ბედნიერი თაობის ხალისიან ცხოვრებას.

გამომცემლობა „საბლიტგამმა“ კარგი საქმე გააკეთა „სომხეთის დილას“ გამოცემით.

ვასილ კიკნაძე

კორეული ზღაპრები

საბჭოთა ხალხი თანაგრძნობითა და სიყვარულითაა გამსჭვალული გმირი კორეელი ხალხისადმი, რომელმაც დიდი მსხვერპლი გაიღო თავისი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. საბჭოთა მკითხველი ინტერესით ეცნობა კორეელი ხალხის კულტურას, კორეულ ლიტერატურასა და ხელოვნებას. კორეული ნაწარმოებები თარგმნილია საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე და მათი რიცხვი თანდათან იზრდება.

ახლახან ქართულ ენაზე ითარგმნა და გამოვიდა კიდევ ერთი ახალი წიგნი — „კორეული ზღაპრები“. წიგნი გამოსცა „საბლიტგამმა“ (თარგმანი შესრულებულია ვალენტინა ძიძიგურის მიერ).

კრებულში 39 ზღაპარია მოთავსებული. წიგნი თემატურად მრავალფეროვანია. აქაა როგორც საგმირო, ასევე საყოფაცხოვრებო ხასიათის ზღაპრები. ცოდნა და ცოდნის ძალა, მეგობრობა და ერთგულება, სამშობლო, სამართლიანობა და თავისუფლება — აი, ძირითადი მოტივები გმირი ხალხის ზღაპრებისა. კორეული ზღაპრების გმირები უშიშრად იბრძვიან და ანადგურებენ ბოროტ ძალებს. ზღაპრები გაჟღენთილია ხალხის ბედნიერი და ნათელი მომავლის რწმენით. ერთ-ერთი კორეული ზღაპრის სიტყვებით რომ ვთქვათ, ხალხმა კარგად იცის, რომ „ვისაც სხვისი გაგლეჯა სურს, ხშირად თითონვე რჩება უტყავოდ.“

წიგნი მთავრდება ზღაპრით — „ჯადოსნური სალამური“, რომლის გმირი, — მომავლის ძიებაში მყოფი კორეელი, რომელმაც უამრავი სიძნელის გადალახვა შესძლო, საბოლოოდ პოულობს ნათელს და სწორ გზას.

ეს არის გზა სოციალიზმისაკენ. ამ დიდებული გზით მიაბიჯებს დღეს თავისუფლებისმოყვარე კორეელი ხალხი.

ზღაპრები მდიდარია კორეული ანდაზებით, მახვილგონიერი და ენაგოსწრებული გამოთქმებით. წიგნი კარგადაა თარგმნილი.

ბავშვებო, წაიკითხეთ კორეული ზღაპრები.

ა. ციწვაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ნაგროშვილი

ნახ. ი. გაბაშვილისა.

კაფანდარა

ზღაპარი

არც ცხრა მთას იქით, არც ცხრა ზღვის გადაღმა, არამედ სულ ახლოს, აქედან ერთი დღის სავალზე ერთი დიდი ტრიალი მინდორი იყო. პეერიც გეცქირათ, ბოლომდე თვალს ვერ მიაწვდენდით. იმ მინდორს ვერც ცხენით შემოურბენდა კაცი — ცხენი შუა გზაში წაექცეოდა, ვერც მანქანით —ბენზინი შუა გზაში გაუთავდებოდა.

ის მინდორი ხან თეთრად გადაიპენტებოდა, ხან მწვანე ქათიბით მოირთვებოდა, ხანაც ოქროსფრად აბზინდებოდა.

ზამთრობით, დაღესტნის შორეული მთქბიდან მზე რომ ამოიხედავდა — იმ მინდორზე კიდით-კიდემდე გადაფენილი თოვლის ელვარება თვითონ მზესაც კი თვალს სჭრიდა.

გაზაფხულზე, რომ გათენდებოდა, მინდორს მწვანე სინათლე ეფინებოდა. ეს იმიტომ, რომ საითაც გაიხედავდი, დაპუჩქებული და მუხლამოყრილი ჯეჯილი ბიბინებდა.

ზაფხული კი ოქროსფერა იყო. იმ ოქროსფერ ზღვაში მარტო კომბაინები მოჩანდნენ ლურჯად, ყანასა მკიდნენ და სოფლელებს იქიდან იმდენი პური მოჰქონდათ — აღარც საბარგო მანქანები ჰყოფნიდათ, აღარც ურმები.

ერთი ჯეელი მელია იყო, რომელსაც კაფანდარას ეძახდნენ.

ყანის პირებში სოფლელები ხშირად ნახულობდნენ, რომ მიწა ალაგ-ალაგ გადათხრილი იყო; იმათ ეს თაგვების უბრალო სოროები ეგონათ; ნამდვილად კი ეს განაპირა სადარაჯოები და სანგრები იყო იმ სამეფოს ჯარებისა, რომელსაც მისი მკვიდრნი სათაგვეთს უწოდებდნენ.

იმ სამეფოს მკვიდრთა სათვალავი არავინ იცოდა... თანაც ყოველდღე მრავლდებოდნენ, მაგრამ არც საჭმელი აკლდებოდათ და არც სასმელი. ან ეგ რა სათქმელია: არჩევანზეც იყვნენ — მიწაში გადაგდებულ ქერის მარცვალს პირს არ მიაკარებდნენ, დოლის პურის მარცვალს მიირთმევდნენ.

მაგრამ ვაი იმ მინდვრის ბრალი, როცა ისინი შეესეოდნენ. ჯერ თესლს დაერეოდნენ, მერე ჯეჯილს, მერე ყანის მკელებზე ადრე შედიოდნენ მინდვრებში და თითო თაგუნას მთელ ზაფხულს თითო კილო ხორბალი ძლივსა ჰყოფნიდა; ერთ ამდენსაც ზამთრისათვის ინახავდა მიწისქვეშა ბელელში და აბა ახლა თქვენ იანგარიშეთ რამდენი პური სჭირდებოდა ამ ვეებერთელა სამეფოს გამოკვებას.

ივახშმებდნენ დოლის პურით, ნამს დააყოლებდნენ და მიეყრებოდნენ საძილედ თავიანთ მიწისქვეშა სასახლეებში...

არაფერი საზრუნავი არ აწუხებდათ — იცოდნენ პური მუდამ გამოულევლად ექნებოდათ.

* * *

მაგრამ არც ისე უდარდო და უღრუბლო იყო მათი ცხოვრება.

ადამიანები ხორბლის თესლთან ერთად რაღაცას მოიტანდნენ ხოლმე, მინდორში დაჰყრიდნენ, მათი სასახლეების ახლოს... როგორც კი თაგუნა მიეკარებოდა, მოიწამლებოდა და მაშინვე გამჩენს სულს მიაბარებდა.

მაშინ მთელ მინდორში გლოვის ზარი იდგა და ყველა სოროში მოთქმით ტირილი ისმოდა.

ადამიანები რომ ებრძოდნენ მათ — ეს გასაგები იყო. სოფლელები თავიანთ ჭირნახულს უფრთხილდებოდნენ. მაგრამ თაგუნები იმაზე ბრაზობდნენ, რომ მელიებიც ადამიანის მხარეზე იყვნენ. როცა ტრაქტორები ღამით ხვნას დაიწყებდნენ, გადმოაბრუნებდნენ ვეებერა ბელტებს დ მიწაში ჩათბუნებული თაგვების სოროს მაღლა ამოაგდებდნენ, მელია კვალში მისდევდა ტრაქტორს და განსაცდელის ყამს, თაგვებს სახლკარი თავზე რომ დაენგრეოდა, მელია ისარგებლებდა ამ წუთით და მუსრს ავლებდა უსახლკაროდ დარჩენილებს.

ყველაზე საშიში ერთი ჯეელი მელია იყო, რომელსაც კაფანდარას ეძახდნენ. მართლაც ის კოხტა და კაფანდარა ყმაწვილი გახლდათ — როცა ის უკანა ფეხებზე დაჯდებოდა, წინ კუდს დაიგდებდა, ქულაჯას გაისწორებდა, იმის შეხედვას არა სჯობდა-რა... აუციმციმდებოდა ხოლმე ეშმაკური თვალები, გუგებიდან ნაპერწკლებს აფრქვევდა და ისე ათვალიერებდა იქაურობას, თითქოს ყველას ბატონი ისა ბრძანებულიყოს.

მთელ სათაგვეთში პატარა წრიუწუნებს, როცა გაჭირვეულდებოდნენ და დროზე არ იძინებდნენ ხოლმე, — კაფანდარას სახელით აშინებდნენ.

სწორედ ეს კაფანდარა იყო მელიების სარდალი.

მაგრამ მტრები განა მარტო მიწის ხვნის დროს მოდიოდნენ? მათი შიშით თაგუნები მაღალ ბალახსა და ყანასაც ერიდებოდნენ — ისე გაინაბებოდა შიგ კაფანდარა, ვერაფრით ვერ შეამჩნევდი. გაეკვრებოდა მუცლით მიწას და ბელტს ამოეფარებოდა. და თაგუნა გონს მარტო მაშინ-ღა მოდიოდა, როცა მის კლანჭებში მოხვდებოდა.

ღამით სხვა მტერიც მოიწევდა — მელიაზე არანაკლებ ურჯულო და დაუნდობელი. იმ თვალებრიალა, დიდთავა ბუმ ისეთი ჩუმი ფრენა იცოდა და ისეთი მოულოდნელი თავდასხმა, რომ თაგუნა ამოკვნესას ვერ -მოასწრებდა ხოლმე.

არცერთი ზაფხული არ ყოფილა, რომ თითო ბუს ათასი თაგვი მაინც არ გაესტუმრებინა საიქიოს.

ერთხელ ბუს დაეკვეხნა კიდეც: სოფლელები ჩემი მადლობელი უნდა იყვნენ, ყოველ ზაფხულში თითო ბუ თითო ტონა ხორბალს გადავურჩენთ ხოლმე ადამიანებსო.

გათენებამდე არ ისვენებდნენ მელია და ბუ. დილით ერთი მიცუნცულებდა ტყისაკენ, მეორე — მიფრინავდა; მაგრამ ხსნა აღარც გათენებას და მზის ამოსვლას მოჰქონდა, მზის

ამოსვლისთანავე გაეკვრებოდა ცას ძერა, ზარმაცზე ზარმაცი, ფრთის გაქნევა რომ ეზარება და ამიტომ ასე ფრთაგაჭიმული, ნელნელა დაფრინავს, და მერე სად დაფრინავს? ისიც ტრაქტორის თავზე ტრიალებს, ისიც გადმობრუნებულ ბელტებს ჩამოსცქერის ციდან, აბა იქნებ თაგვებს სახლკარი თავზე ჩამოექცათ და ჩემი დრო დადგა.

მერე რომ წამოვა ციდან, იმისი ფრთების შხუილი ტრაქტორის გუგუნშიც კი ესმით თაგუნებს, მაგრამ საითღა გაიქცევიან. გზა არსად ჩანს.

და ასე მიდის ცხოვრება: აღარც დღეა მოსვენება, აღარც ღამე.

* * *

ითმინეს, ითმინეს თაგვებმა და ბოლოს მათი მოთმინების ფიალაც აივსო.

გადაწყვიტეს მტერს მტრულად დახვედროდნენ, შებრძოლებოდნენ მელიებს, ძერებს, ბუებს, და თავბედი ეწყევლინებინათ...

ყველაზე მეტად სათაგვეთის ჯარების სარდალი ნაცარა ცხარობდა. ნაცარა გულადი და ბრძოლაგამოვლილი თაგუნა იყო. მხართან ახლაც აჩნდა ნაჭრილობევი, ოდესღაც ნისკარტი რომ გაჭრა ძერამ, მაგრამ ნაცარამ მოასწრო და ბელტს მოეფარა.

სარდალს მხარში ედგა ლეგა — მასაც მრავალი განსაცდელი გამოევლო. ცხარობდნენ და შფოთავდნენ სხვებიც — წრიოკა, წალიკა და კიდევ ვინ მოსთვლის მათ სახელებს.

იკრიბებოდნენ, გულზე თათებს იცემდნენ, იმუქრებოდნენ — ისეთი დღე უნდა დავაყენოთ იმ საზიზღარ კაფანდარას, რომ იმისი ბეწვი ქარს უნდა მიჰქონდეს შირაქის მინდორზეო. ბოლოს გადაწყვიტეს და მთელი სამეფოს მოსახლეობა ყანის ბოლოს, ყურღანთან შეიკრიბა. იმ ყურღანზე ვეება ბელტი ეგდო, იმაზე წამოსკუბდა ნაცარა, ულვაშებზე თათები გადაისვა და ბრაზიანად დაიწყო:

— ძმებო! დადგა გადამწყვეტი წუთი... ან მე ვიქნები და ან კაფანდარას დედამ და ცოლმა უნდა ჩაიცვან შავები... იმის ამყოლ-დამყოლებსაც გაჩენის დღე უნდა ვაწყევლინო — იმ დამბლა დაცემულ ძერას, ფრთის მოქნევა რომ ეზარება და წელში გადრეცილი დაფრინავს... მარტო მაშინ გამოცოცხლდება ხოლმე, ჩვენ რომ დაგვინახავს... იმ გამოყრუებულ ბუსაც, ბრძენად რომ მოაქვს თავი... ყველას საკადრისი უნდა მივუზღოთ, დაე, თავი დაგვანებონ...

დილით მიცუნცულებდა ტყისაკენ.

— მართალია, გვეყოფა მოთმინება! — გაისმა აქეთ-იქიდან.

— ნახევარ მილიონამდე ჯარისკაცი შემიძლია გამოვიყვანო, — განაგრძობდა ნაცარა, — ისინი კი ერთი მუჭანი არიან. იმ სამ მტარვალს ეგებ ის მყრალი ყაპყაპიც მიემატოს, ჰა, თუ გინდა კაკაჩაც იმათ მხარეზე მიათვალე, მაინც ჩვენ ვერ მოგვერევიან... დავესიოთ ყველანი, ზურგზე ბოლი ავადინოთ...

— წაგვიძეხ და წამოგყვებით, — ერთხმად გაისმოდა ირგვლივ.

ღამით სხვა მტერიც მოიწევდა — მელიაზე არანაკლებ ურჯულო და დაუნდობელი.

უცებ შორიდან ყარაულად დაყენებული თაგუნების განწირული ძახილი მოისმა:

— მოფრინავს!!!

ეს საჰაერო განგაშის ნიშანი იყო. აიხედეს მაღლა, ძერა მოფრინავდა... აღარავინ იცოდა ვინ საით გარბოდა. ნაცარამ პირველმა ისკუპა თხრილში... დაცარიელებულ ყურღანზე მარტო წრიოკა-ღა დარჩენილიყო, ისიც იმიტომ რომ შიშმა მუხლი მოჰკვეთა და გაქცევა ველარ შესძლო. როცა საშიშროებამ გადაიარა და თაგვები ყურღანზე ისევ მოგროვდნენ, წრიოკამ ბაქიობით აიკლო იქაურობა:

— რა ჩქარა დაივიწყეთ თქვენი ქადილი! ჰაი დედასა, როგორ დაიფანტენით!

ახლად განცდილმა შიშმა წელანდელი რიხი დაუკარგა თვით ყველაზე მამაცებსაც. ახლა ყურღანზე მარტო წუწუნი ისმოდა, მოსთქვამდნენ, დასტიროდნენ თავიანთ ბედს და გამოსავალი ვერსაით ეპოვათ.

იმ მინდორში ერთი მოხუცი თაგვი ცხოვრობდა, მთელი თავისი სიცოცხლე ქვეყნად ხეტიალსა და წანწალში გაეტარებინა, დიდხანს ეცხოვრა ქალაქში, ამბობდნენ საზღვარგარეთაც კი ყოფილა, საქონლით დატვირთულ გემს გაჰყოლია ოდესღაც და მერე ისევ დაბრუნებულაო. მოხუცი ღრმად განსწავლული იყო და თანამოძმენი მას მწიგნობარსაც ამიტომ ეძახდნენ. ამ წუთისოფლის ყველა ასავალ-დასავალი იცოდა. ახლაც ის წინ წამოდგა, ბელტზე ავიდა და აყაყანებული თანამოძმენი მარჯვენა თათის მაღლა აწევით გააჩერა:

— ძმებო... ყური მიგდეთ... მეფესთან ვიჩივლოთ... ის გვიჩვენებს ხსნის გზას...

— აგაშენა ღმერთმა, ბერიკაცო, რატომ აქამდის ვერ ვიფიქრეთ! — ახმაურდა მთელი შეკრებილობა.

მაგრამ სად იყო ნადირთა მეფის ადგილსამყოფელი? თვით ყველაზე მოხუცებსაც კი შირაქის მიდამოებში ლომი არასოდეს არ ენახათ.

— მაგრამ მეფე სად ვნახოთ, რომ არ ვიცით, — წამოიძახა ლეგამ.

— მაგაზე ნუ სწუხართ... მე ვიცი სადაც არის მეფე, ჩემი თვალითა მყავს ნანახი, მაგრამ...

მოხუცს ხმა ჩაუწყდა, თვალებიდან ღაპა-ღუპით ცრემლები გადმოსცვივდა.

— მართალია! გვეყოფა მოთმინება! — გაისმოდა აქეთ-იქიდან.

— რა გატირებს, ძმაო, ხომ არ მოუკლავთ...

— არა, მაგრამ ტყვედ არის ჩვენი მეფე-პატრონი, რკინის სვეტები აქვს იმ საპყრობილეს... დიდი დედოფალიც იქ ბრძანდება. ნაზირ-ვეზირებიც სულ იქ არიან... ადამიანებს დაუმწყვდევიათ.

— რა ვუყოთ მერე... მაინც უნდა ვნახოთ... შიკრიკები ვიფრინოთ... მეფემ რომ ბრძანოს, იმისი რისხვა არ მქონდეს, განა ლაჩარი კაფანდარა გაბედავს და იმის სიტყვას გასტეხავს...

— რა ადგილზეა ის საპყრობილე არ გახსოვს?

— როგორ არ მახსოვს, — წამოიძახა მწიგნობარმა თაგვმა, — იმ ციხე-სიმაგრეს ზოოპარკს ეძახიან, მაგრამ ალაყაფის კარიდან იქ ვერ შეხვალ... კარებში ადამიანები დგანან და ნებართვის ქაღალდებსა თხოულობენ, გვერდზე ვეება მდინარე ჩამოდის, ვერას ეძახიან სახელად. იმ მდინარის ხევიდან შეიძლება ასვლა...

— წავიდეთ, მუხლებში ჩავუვარდეთ, შევეევედროთ... ვუჩივლოთ მელას... — ისმოდა აქეთ-იქიდან.

მეფესთან გასაგზავნ შიკრიკებად ნაცარა, ლეგა, წრიოკა და მწიგნობარი თაგუნა აირჩიეს. ისინი საჩქაროდ გაემზადნენ სამგზავროდ, რკინიგზის სადგურამდე ფეხით იარეს, იქ დიდი წვალების შემდეგ საბარგო ვაგონების ბნელ კუნჭულებში მიიმალნენ და ქალაქისაკენ გასწიეს.

* * *

დილით ადრე იმ ქალაქის მცხოვრებნი ლომის ბუხუნმა გამოაღვიძა, რამდენჯერ სმენიათ ეს ხმა, მაგრამ ნადირთა მეფე ეტყობოდა ახლა უფრო მეტად ბრაზმორეული იყო — ისე მქუხარებდა მისი ხმა, რომ ახლო-მახლო შენობების ფანჯრებში მინები ზანზარებდნენ. ზედ წაბმით არწივის ყივილიც მოესმათ, მერე ისევ ლომის ბრდღვიალი და ისევ არწივის ხმა, თითქოს რაღაც პაექრობა გაუმართავთო.

ზოოპარკში მართლაც დიდი არეულობა იყო. იმ დილით სათაგვეთის სამეფოდან ჩამოსულმა შიკრიკებმა ვარის ხევიდან ზოოპარკში შეაღწიეს, ლომის საკანში შეძვრნენ, უკანა ფეხებზე დასკუპდნენ, მერე სამჯერ დაეძახნეს ბრძანებლის ფეხთა წინაშე.

ბოლო ხანებში მეფეს უძილობა სჭირდა. იმ ღამესაც დიდხანს ვერ მოხუჭა თვალი... განთიადისას-ღა ჩაეძინა და ძილშიც ავად ბორგავდა — ძალ... ცუდ სიზმარსა ჰხედავდა: ვითომ სამშობლოში იყო, იქ, სადაც დაიბადა, მაგრამ ველარაფერი გაეგო. აწყდებოდა აქეთ-იქით და ამჩნევდა, რომ ულრან ტყეშიც, მინდორშიც, გზაზეც მას აღარავინ ემორჩილებოდა. ხმაც დაჰკარგოდა, ბრდღვიალის ნაცვლად რაღაც ხავილი ამოდიოდა ბაიი ყელიდან და აღარავის ეშინოდა მისი. აფთარი ხედავდა მეფეს და ხმას როდი იწყვეტდა მის წინაშე, ბაინც ღმუოდა. ავაზა შესცქეროდა ლომს და მაინც ღრინავდა, ყირაფი გონდაკარგულივით როდი მიჰქროდა ბუჩქებში, არამედ მშვიდად კორტნიდა ნეკერს, თავისი გრძელი კისერი სასაცილოდ წაეწვდინა და ზევიდან გადმოსცქეროდა ნადირთა მეფეს, აღარ ცახცახებდა აქლემი, და აღარც ცხენი დგებოდა ყალუზე... აღარავის ეშინოდა მისი, ხოლო მაიმუნები, ტოტიდან ტოტზე რომ ხტებოდნენ, სიცილით იხოცებოდნენ, მისი უმწეო ხავილი რომ ესმოდათ. ხის ტოტებიდან თხილის ნაჭუჭებს ესროდნენ, დასცინოდნენ და ლომიც ჭკუაზე იშლებოდა, ბორგავდა სიზმარში...

თაგუნები კი, მიწას დამხობილნი, უძრავად გაჩერებულიყვნენ მის წინაშე და უცდიდნენ მბრძანებლის გამოღვიძებას.

როგორც იყო გაახილა მეფემ თვალი და გვერდით, გალიიდან ავაზას ღრინვა რომ მოესმა — თავი ისევ სიზმარში ეგონა. თათებით თვალები მოიფშვნიტა და მაშინღა შენიშნა, რომ მის გალიაში თაგუნები შემომძვრალიყვნენ, მისივე ფეხთა მტვერნი, უმდაბლესნი უნარჩევესთა შორის.

ერთხანს გაკვირვებით უცქირა მათ მეფემ, და მერე ინება წარმოეთქვა:

— რაზე გარჯილხართ? რა გინდათ?

— თქვენი დიდხანს სიცოცხლე, მბრძანებელო! — წამოდგა წინ მწიგნობარი თაგუნა, — თქვენი სიხარული და ბედნიერება. თქვენი ღვაწლით სავსეა მატიანე... ეს უზარმაზარი ციხე-სიმაგრე ვერ დაიტევს იმ წიგნებს, რაც თქვენს მამაცობაზე დაწერილა...

— ეჰ, მომაბეზრეს თავი პირმოთნე ისტორიკოსებმა, — თავი გადააქნია და ფაფარი შეათამაშა ნადირთა მეფემ, — საქმეზე გადადით, რას ითხოვთ, საიდან მოსულხართ?

— შორიდან გეახელით დიდო მეფეო, სათაგვეთის სამეფოდან. ჩვენ მუდამ შენი ერთგული ყმანი ვიყავით. ალბათ გეხსომებათ, მეფე-ბატონო, რა ღვაწლი მიგვიძღვის შენი ბრწყინვალე გვარეულობის წინაშე, ეს ჩვენი წინაპრები იყვნენ, თოკი რომ გაღრღნეს, რომლითაც მეფე იყო დაბმული...

ნადირთ მეფეს დამცინავმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე, მწუხარე იყო ის ღიმილი, ნაღვლიანი, ღიმილი ტყვისა, რომელსაც დარდი გულზე მძიმე ლოდივით აწევს.

მწიგნობარმა თაგვმა შეამჩნია ეს ღიმილი და უფრო დაბეჯითებით დაიწყო:

— მართალს მოგახსენებთ, თქვენო უდიდებულესობავ! ამაზე ფირმანიცა გვაქვს ნაწყალობევი... არსებობს წერილობითი წყაროებიც...

— ახლა რას ითხოვთ...

თაგვები ისევ დაემხნენ მიწას, მერე წამოდგნენ და მწიგნობარმა დაიწყო:

— სამართალი აღარ არის მეფეო შენს საბრძანებელში... ჩვენი სისხლით ირწყვის შირაქის მიწა-წყალი. მტარვალმა კაფანდარა-მელიამ სული აღარ მოგვათქმევინა. ხომ გახსოვთ, დიდო მეფეო, რომ კაფანდარა მუდამ მოღალატე და ფარისეველი იყო. მერე ერთხანს იერუსლამშიც კი დაეპირა წასვლა, ვითომ ცოდვების მოსანანიებლად, მაგრამ თავის სოროს არ გაცილებია... ახლაც ყოველ ნაბიჯზე გღალატობს, მეფევ, დაგცინის, ნიშნს გიგებს, ადამიანებს უპერს მხარს და ჩვენ, შენს ერთგულებს, ქვეყნად აღარ გვაჭაპანებს.

„აი, ესეც შენი წუხანდელი სიზმარი", გაიფიქრა მეფემ, ბრაზისაგან თვალებში სისხლი მოერია და დაიღრიალა:

— ადამიანების მხარეზე გადავიდა?! ჰმ, გათავხედდა, რაკილა მე საპყრობილეში მხედავს? ვანანებ, გაჩენის დღეს დავაწყევლინებ... სოროებს დავუნგრევ და შვილებს ამოვუწყვეტავ!

დედოფალმა რჩევა მისცა მეფეს:

— დიდო მეფევ! ფირმანი გაატანე მგელთან ამ საცოდავებს. კაფანდარას ის ასწავლის ჭკუას.

— მართალი ხარ, დედოფალო! — და მერე თაგვებს მოუბრუნდა. — სხვას რას ითხოვთ...

— მეფევ! კაფანდარა-მელია შეუამხანაგდა თავისავე მსგავს მაწანწალებსა და ყაჩაღებს — ძერას, ბუს, ყაპყაპს, კირკიტას... ერთად გვესხმიან თავს... ისინიც შერისხე...

მაშინ ჩაფიქრდა დიდებული ხელმწიფე და წყნარად წარმოსთქვა:

— ბუ და ძერაო, ამბობთ? ეგენი ჩემი ქვეშევრდომნი რომ არ არიან? მათი დასჯა ფრინველთა მეფეს უნდა ვთხოვო,—ლომმა ველის არწივის გალიისაკენ გაიხედა და მჭუხარე ხმით გასძახა:

— ცათამფლობელო, ლაჟვარდების მბრძანებელო!

— გისმენ! ხმელეთის მეფეთა-მეფევ! — გამოეძრახა არწივი.

— შენი ქვეშევრდომები, ძერა და ბუ ჩემს ყმებს შირაქში თავს დასხმიან, აუწიოკებიათ. გაეცი ბრძანება შეიპყრონ ძერაც, ბუც და ბუდეები დაუნგრიონ...

არწივმა ღრმად ამოიოხრა და წარმოსთქვა:

— როდიღა მემორჩილებიან ხმელეთის მბრძანებელო! ჩემი სამეფო ტახტი ჩემს ბიძაშვილს, იმ წყეულ სვავს მიუთვისებია. აბა ძერა როგორ გავამტყუნო, როცა ის უჯიშო ჩემი ბიძაშვილი თურმე თვითონ ნადირობს თაგვებზე და ისიც სოფლელების წისქვილზე ასხამს წყალს. ეს-ეს დღე მოფრინავენ აქ ფრინველები შირაქიდან, ჩამოსხდებიან ხოლმე გალიაზე და იმ უკეთურზე მიამბობენ: ფეხქვეშ გაუთელია ჩემი კანონები... მაგრამ გავალ აქედან და ვანანებ... გულის ჯავრს მაინც ამოვიყრი. მას ჩემი ტახტი რომ მიუთვისებია, მერე ჩემი საყვარელი მეუღლისათვის ძალად ჯვარი გადაუწერია... ყველაფერი წამართვეს — სამეფოც, ცოლიც, შვილებიც... ვაჰმე... — ამოიგმინა არწივმა...

იმისმა მწუხარებამ ყველას თვალზე ცრემლი მოჰგვარა.

— მაინც უნდა ვაფრინო შიკრიკი, — განაგრძო არწივმა, — დღეს ყორნებსა ვგზავნი შირაქში და საიდუმლო ფირმანს გავატან.

— მაშ უბრძანე ჩემი ფირმანიც იმათ წაიღონ, — სთხოვა

— მართალს მოგახსენებთ, თქვენო უდიდებულესობავ, ამაზე ფირმანიცა გვაქვს ნაწყალობევი.

ლომმა, მერე მობრუნდა და თქვა:

— მდივანბეგს მიხმეთ!

მდივანბეგი ქოშინით შემოვარდა და თაგვებს ფერი ეცვალათ: ეს თანამდებობა თურმე აქ მელას ეჭირა, იმ წყეული კაფანდარას ბიძაშვილს: დახეთ, რა თბილ ადგილას მოუკალათებია ამ სასიკვდილეს. მდივანბეგმა ეტრატი ამოიღო, ბატის ფრთა გაამზადა, მელნის ნაცვლად ბატისავე სისხლში ჩააწო და წერად განემზადა. მეფემ კარნახი დაიწყო.

„მე, ნადირთა მეფეთ-მეფე, მბრძანებელი მწვანე ტყეებისა და მინდვრებისა, მაღალი მთებისა და უღრანი ხეობებისა — ვიკადრებ და ვბრძანებ: ჩვენს მაგვრად ჩვენს ერთგულ ვეზირს — მგლების ხროვის უფროსს ტოტიას მრავალი მოკითხვა მოახსენეთ. მერმე ეს გვიბრძანებია: ტოტიამ შეჰყაროს მთელი ხროვა მგლებისა, რომლებიც გაფანტულნი არიან შირაქში, ივრის ხეობაში და ალაზნის ჭალებში, დაბანაკდით შირაქში და თავს დაესხით მელიების უბანს, დაუნგრიეთ სოროები, დაუხოცეთ ლეკვები, თვითონ კაფანდარა შეიპყარით, მოჭალით და მოკრილი თავი აქ გამომიგზავნეთ“.

მელაც სწერდა ფირმანს და თათები უცახცახებდა: ნეტავ რა მოხდა? მთელი ჩვენი საგვარეულოს მოსპობა რათ განუზრახავს ბატონს, საწყალი კაფანდარა, ნეტავ ასეთი რა დაეშავა? უკვირდა მდივანბეგს და შიშით მუხლი ეკვეთებოდა, თვალთ უბნელდებოდა.

ნადირთა და ფრინველთა მეფეებმა ფირმანები შეახვიეს და ყორნებმა ნისკარტებით წაიღეს შირაქის მინდვრისაკენ.

* * *

მდივანბეგი საშინელ დარდსა და ბოღმაში იყო ჩავარდნილი. როგორ, მთელი მელიების ჯიში და ჯილაგი უნდა ამოწყვიტონ... მერე ამ საკუთარი, გასახმობი თათით მაინც არ დაეწერა ეს წყეული ბრძანება! რა ქნას — გასწიროს თავი და გასცეს მეფის საიდუმლო? რომ გაუგონ — ხომ ცოცხლად გააძრობენ ტყავს და მერე ასო-ასო დაფლეთენ? კიდევაც რომ გაბედოს — შირაქში ხმა როგორ მიაწვდინოს, ვის გაენდოს...

მდივანბეგი ამ ფიქრში რომ იყო, ზოოპარკში, ცაცხვის ხეზე ყვავი შემოჯდა. მშიერი იყო ყვანჩალა და გამწარებული აცეცებდა თვალებს აქეთ-იქით. მდივანბეგმა შენიშნა ეს და გადაწყვიტა ყვანჩალა მოესყიდა, გადაებირებინა, იფიქრა, იქნებ იკისროს და მინდორში გაფრინდეს, ჩემს სათქმელს ამას დავაბარებო. ამიტომ ტკბილად, მეგობრული კილოთი შესძახა:

— ძმობილო, მოდი თითო ლუკმა გავტეხოთ... დილანდელი საუზმისათვის ხელიც არ მიხლია... — და მელამ ხორცის ნაჭრებს თათი წაჭკრა, წინ წამოჰყარა, რომ ყვავს უკეთ დაენახა. ყვანჩალას ნისკარტზე ნერწყვი მოადგა, მაგრამ იხტიბარი მაინც არ გაიტეხა:

— ჰოი, შე არამზადავ! ვიცით შენი ოინები, ვიცითი!

— არა, ბიჭო, ძმობას გეფიცები, წმინდა გულითა გპატიჟობ... აჰა, — და მელამ ხორცის ნაჭრები გალიის გარეთ გადაყარა, — შეჭამე, ლუკმა, ძმაო! ძმა ძმისთვისაო, ნათქვამია... ერთი საიდუმლო მინდა გაგანდო და თუ იმ საქმეს გააკეთებ, ჩიტის რძე რომ ინატრო, ჩვენიანები იმასაც კი არ მოგაკლებენ.

დაინტერესებულმა ყვავმა მსხვილი ნაჭერი დაითრია, მელა კი ეკითხებოდა:

— შირაქში ყოფილხარ?

— როგორ არა? — დაიჩხავლა ყვანჩალამ.

— მაშ გეხსომება ტყიანი ხეობა რომ არის დიდ შირაქსა და ენამთას შუა... იქ ჩვენი ბიჭები ცხოვრობენ... გაფრინდი ახლავე, კაფანდარა მონახე და შეატყობინე: მეფემ ბრძანება გამოუგზავნა მგლებს, რომ თავს უნდა დაგესხან და სულ დედაბუდიანად ამოგწყვიტონ-თქო. იჩქარე, დაე დიდძალი ქრთამი მიართვან ტოტიას, მგლების ხროვის წინამძღოლს... თორემ ცუდად იქნება საქმე-თქო. თაგვებიც ომს აპირებენ, მაგრამ ისინი საშიში არ არიან...

— მერე, მე რას მომცემთ?

— ყველაფერს... რასაც ინატრებ: ყველი, ერბო, ტოროლის ხორცი თავზე საყრელი გექნება... შენი ჭირიმე, ყვანჩალავ, ისაუზმე და ბარემ ახლავე გაფრინდი, დრო აღარ იცდის...

— წავალ! — წამოიძახა ყვავმა და აფრინდა... დიდხანს უცქერა მელამ შორს, შავნაბადას მთებისაკენ გაფრენილ ყვანჩალას, აგერ სულ შავი წერტილივით-ღა მოჩანს ლურჯ ცაში. გადაივლის ივრის მინდვრებს, ჩავა შირაქში და დროზე მიიტანს ამბავს...

ცბიერი მდივანბეგი კმაყოფილი იღიმებოდა. იცოდა კაფანდარა დროზე გაფრთხილდებოდა და მელიების უბანი საშინელ დარბევას თავიდან აიცილებდა.

* * *

ყორნებმა მინდორში მეფეთა ფირმანები რომ ჩაიტანეს და ტოტიას გადასცეს, მან მაშინვე დაიწყო სალაშქროდ მზადება. სასწრაფოდ თავი მოუყარა თორმეტ, ყველაზე თავზე ხელაღებულ მგელს და სათაგვეთის საზღვრებთან დაბანაკა.

ამასობაში შიკრიკებად გაგზავნილი თაგვებიც დაბრუნდნენ და მეფის ბრძანების ამბავი ჩამოიტანეს. ზეიმობდა მთელი სათაგვეთი. ყველას იმედი მიეცა, რომ ამიერიდან სამუდამოდ ბოლო ეღებოდა კაფანდარას თარეშს.

მგლები იწვნენ ბალახებში, ყანების პირას და მელიების გამოჩენას ელოდნენ, რომ აქვე გაეწყვიტათ ისინი, მერე მათი სოროებისკენ წასულიყვნენ და მათი ცოლშვილი აეწიოკებინათ.

მელიები კი არსადა ჩანდნენ... აღარც ძერა მოფრენილა და მგლებს მოლოდინში გული გადაელიათ.

საღამოსთვის მათ ისე მოშივდათ, რომ თვალთ უბნელდებოდათ.

ხროვის წინამძღოლი ტოტია გაკვირვებული იყო: აკი აქეთ წამოსვლისას მან დაუბარა თავის ახალგაზრდა მეუღლეს — ივრის საძოვრებზე მწყემსებისათვის ცხვარი მოეტაცნა და ლაშქრისათვის სურსათი დროზე მოეწოდებინა.

შუადღის ხანს უნდა ჩამოსულიყო ძუ მგელი და ნანადირევი ჩამოეტანა. აგერ ღამდებოდა და ჯერაც არ ჩანდა...

უცებ შორს ბებერი მგელი შენიშნეს მოლაშქრეებმა. ის მძიმედ დატვირთული ძლივს მოაბიჯებდა. მოჰქონდა დახოცილი კურდღლები, ტოროლები, ხოხბები, მწყერები...

ტოტიას გულმა ცუდი რაღაც უგრძნო, მოახლოვდა თუ არა ბებერი, ჰკითხა — ძუ მგელი სად არისო...

ბებერმა ამოიოხრა და უპასუხა:

— წუხელ მოკლეს, შვილო, ჩათმაში მწყემსებმა, სურსათისათვის რომ იყო წასული...

მწარედ დაიღმუვლა ტოტიამ... ეს მეორე ცოლიც მოუკლეს მწყემსებმა.

— ეს საჭმელი საიდან მოიტანე?

— ეს კაფანდარამ გამოგიგზავნათ... აგერ იქით ფერდობში იცდის თავის ბიჭებით და პასუხს ელის: გთხოვს, გზა გაგვიხსენით და ძღვენს კიდევ მოგართმევთო.

დამშეული მგლები ხარბად დაესივნენ მოტანილ საჭმელს.

* * *

შირაქის ბნელი ღამე იყო.

კაფანდარამ ფრთხილად შემოუარა მარცხენა მხრიდან სათაგვეთის საზღვრებს და თავისი ჯარით ჩასაფრდა.

სარდალი მალი-მალ დასცქეროდა მაჯის საათს. საათი ფერმის მამლის ყივილზე ჰქონდა გასწორებული, თუმცა იმ ყივილს რომ გაიგონებდა, მელიას ტანში რაღაც ტკბილად შეაჟრიალებდა ხოლმე.

აგერ ახლაც შორს, ფერმაში, ათასმა შამალმა ერთად იყივლა და ისეთი ზრიალი დადგა მინდორში, თითქოს ცა ჩამოიქცაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარდალმა მაჯაზე დაიხედა — სრული პირველი იყო. და იერიშიც დაიწყო.

მარჯვენა ფრთაზე ძერები იყვნენ, ზურგიდან — ბუები.

თაგვების უზარმაზარი არმია ნელნელა იხევდა უკან, იქით, საითაც მგლების ბანაკი ეგულებოდა...

პირველად მარცხენა ფრთა გატყდა და ჯარი უწესრიგოდ წამოვიდა მგლებისაკენ...

ძერებმაც და ბუებმაც მალე შეეშუსრეს მტრის სიმაგრეები.

თაგვთა ლაშქარი მთლიანად თავზარდაცემული მიაწყდა იმ მხარეს, საითაც მგლები იყვნენ... იცოდნენ, რომ აქ დადგებოდა მელიების აღსასრული.

აი კიდეც მიუახლოვდნენ ბანაკს, და როგორი იყო მათი გაოცება, როცა აქედანაც კაფანდარა წამოუხტათ მაღალი ბალახებიდან.

— ღალატია! იყვირა ნაცარამ, სათაგვეთის გამოჩენილმა სარდალმა, მგლებს ფრონტი გაუშიშვლებიათ, წასულან!

ალყაში მოქცეულმა თაგვების ლაშქარმა იარაღი დაჰყარა, და ტყვედ ჩაბარდა კაფანდარას ჯარებს.

ისე შემოათენდათ ამ ბრძოლაში, რომ ვერც კი გაიგეს...

თამადა, რა თქმა უნდა, კაფანდარა იყო.

* * *

ის იყო ირიყრაყა, როცა გზაზე ოთხმოცცხენისძალიანი დიზელი გამოჩნდა. ბუბუნითა და ზრიალით მოდიოდა.

ტრაქტორისტს კაბინაში, გვერდით მცვლელი ეჯდა. დიზელს უკან ვაგონი ჰქონდა მობმული და დროდადრო მის ფანჯრიდან თოთხმეტიოდე წლის ბიჭი გადმოიხედავდა ხოლმე. ვაგონს ხუთკორპუსიანი გუთანი მოსდევდა.

ტრაქტორისტმა ის იყო დიზელი გააჩერა, კაბინიდან გადმოხტა და ბიჭს შესძახა ვაგონში:

— გიო, თოფი მომაწოდე ბიჭო!

ბიჭმა თოფი გადააწოდა, ტრაქტორისტმა წამოუჩოქა და მთელი ღამის ბრძოლით დაღლილი, დაქანცული კაფანდარა-მელია მიწაზე გაიშხლართა.

მაგრამ საკვირველი ის იყო, რომ საფანტმა სულ სხვა ადგილას ააყენა მტვერი და კაფანდარა კი სულ სხვაგან წაიქცა. მცვლელმა კაბინიდანვე შეამჩნია ეს ამბავი და ტრაქტორისტს გასძახა: ბიჭო, თავი მოიმკვდარუნა მაგ ეშმაკმა...

მართლაც კაფანდარა იმავე წუთს წამოხტა და მოჰკურცხლა.

დაბნეული ბუც ვაგონზე შემომჯდარიყო.

— ძია ვასო, — შეეხვეწა პატარა ბიჭი ტრაქტორისტს, — მათხოვე თოფი, ბუ შემომჯდარა ვაგონზე... მოიტა, ვცდი, ერთი გასროლით ჩამოვიღებ.

ბუ ისევ აბრიალებდა ყვითელ თვალებს და ვერაფერს ხედავდა...

მას არც გაუგია როგორ აუკრა ბიჭს თოფზე ხელი მეორე ტრაქტორისტმა და უთხრა.

— შე აჯამო და ჩერჩეტო! მაგან იმდენი პური მოგიგროვა, რაც მთელ ზამთარს გეყოფა. დაანებე თავი... თითონ გაიკვლევს გზას და გაფრინდება...

ასე გადარჩნენ სიკვდილს კაფანდარა-მელიაც და ბუც...

* * *

იმ ღამეს, ტყიან ხეობაში, დიდ შირაქსა და ენამთას შუა, დიდი ღრეობა იყო გამართული.

ლხინს იხდიდა კაფანდარა, აუარებელი სტუმრები ჰყავდა მოწვეული, ამიტომ სანოვაგის მზადება ადრევე დაიწყო. ჯერ ისევ დილით შეარჩია საუკეთესონი და მარჯვენი თავისი ბიძაშვილებიდან და ფერმებში დაგზავნა, თან დაუბარა:

— გასწით ახლა, ნულარ დააყოვნებთ, აგერ ქათმის ფერმა... მთის ძირში თეთრ მინდორს ხომ ხედავთ? თოვლი არ გეგონოთ, ის ტიალი ლეგორნები არიან გამოფენილნი. ეცადეთ ვარიები წამოიყვანოთ, კარგი გემო აქვთ იმ გასაწყვეტლებს.

მალე სტუმრებიც მოგროვდნენ — მოფრინდნენ ბუ, კაკაჩა, კირკიტა, ყაპყაპი. ბულბული მეთარეთა ჰყავდათ მოწვეული, კოდალა — მედოლედ. სუფრაზე ბევრი სადღეგრძელო დაილია. თამადა, რათქმაუნდა, კაფანდარა იყო. ბუს სადღეგრძელოს რომ სვამდა, უკვე მთვრალი იყო და ძალიანაც გაუგრძელდა სიტყვა:

— შენ რომ არა ძმაო, — იძახდა კაფანდარა და ბუსაკენ საკოცნელად იწევდა, — შენ რომ არა, შირაქის ყანებს თაგვები გაატიალებდნენ და სოფლელები შიმშილით ამოწყდებოდნენ. აბა, წარმოიდგინეთ ძმებო — მიმართავდა ის სტუმრებს, — თითო ბუ ტონა პურს გადაარჩენს ხოლმე... ეს ხუმრობა არ გეგონოთ!...

გაამაყებული ბუ უფრო მეტად იბღვირებოდა და ყვითელ თვალებს აბრიალებდა.

არავის არ დაუკარგა ამაგი კაფანდარამ: ქებით მოიხსენია კირკიტაც, კაკაჩაც, ყაპყაპიც. მერე თავის ქებას მოჰყვა, სულ ბოლოს გული ამოუჯდა, სუფრაზე დაემხო და ქვითინი დაიწყო:

— ჰოდა, ძმებო! ამ დილას სასიკვდილოდ გამიმეტეს. რათაო, ეს კი აღარ უკითხიათ! ტრაქტორისტი ვასო გაგიგონიათ, დიზელზე რომ მუშაობს, იმან მესროლა... იმას კი აღარა ფიქრობს, რომ მის ნაშრომს მეც ვიცავ და ვუფრთხილდები...

ყოველ სადღეგრძელოზე მუსიკოსები ტუშს აყოლებდნენ, ქეიფი გათენებამდე გაგრძელდა.

დიახ, ნამდვილად მოხდა ეს ყველაფერი და ვისაც არა გჯერათ, დაე თითონ ინახულეთ ის ადგილები, ტყიანი ხეობა დიდ შირაქსა და ენამთას შუა, იქ ყველაფერს მოგითხრობენ და ჩვენს ზღაპარსაც დაადასტურებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერული ამბები

ნორჩ ნატურალისტთა პირველი რესპუბლიკური კონკურსი

საქართველოს ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკურ სადგურში 27 ოქტომბერს გაიხსნა ნორჩ ნატურალისტთა პირველი რესპუბლიკური კონკურსი. ასობით პიონერმა მოიყარა თავი ამ დღეს ნატურალისტთა სადგურის ტერიტორიაზე. დიდი ინტერესით ათვალიერებდნენ ისინი ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან გამოგზავნილ ექსპონატებს. საინტერესო გამოფენა მაყურებელს მოუთხრობდა იმ დიდ მუშაობაზე, რაც მიმდინარე წელს ჩაუტარებიათ საქართველოს პიონერ-მოსწავლეებს.

ძნელია იმისი თქმა, თუ სახელდობრ ვინ უფრო საინტერესო ნამუშევრებით წარსდგა გამოფენაზე: გორელები — ლოყაწითლი ვაშლებით, თუ სამტრედიელები — აბრეშუმის მაღალხარისხიანი პარკით; შინდისელები — რვაასგრამიანი მსხლით, თუ ინგირელები — თვრამეტკილოგრამიანი გოგრით; ლანჩხუთელები — ციტრუსოვანი მცენარეულობით, თუ კარალეთელები — სიმინდის ვეებერთელა ტაროებით!

საკონკურსო გამოფენაში, გორელ, მეჯვრისხეველ, ბათუმელ, ზუგდიდელ, საგარეჯოელ, ლანჩხუთელ, ჩოხატაურელ, ქობულეთელ, ნიგოითელ, ჩაქველ, ბუკისციხელ და კაჭრეთელ მოსწავლეებთან ერთად, თავი ისახელეს აგრეთვე თბილისელმა ნორჩმა ნატურალისტებმა, რომლებმაც მუშაობა გასწიეს სკოლებში, პიონერთა სასახლეში და ბავშვთა საექსკურსიო ტურისტულ სადგურში.

მეხილეობა, მემინდვრეობა, მეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა, მეფრინველეობა... და კიდევ რომელი დარგი არ იტაცებს პიონერთა სასახლის ნორჩ ნატურალისტებს! არაერთი საყურადღებო ექსპონატი წარმოადგინეს გამოფენაზე პიონერთა სასახლის ნორჩმა ნატურალისტებმაც.

განსაკუთრებული ინტერესით გაეცვნენ სტუმრები გამოფენის საკოლექციო ნაკვეთს, რომელიც ორ ჰექტარზეა გაშლილი. საკოლექციო ნაკვეთზე მშვენივრად გრძნობენ თავს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან კონკურსზე გამოგზავნილი ჩაის ბუჩქები, ლიმონები, მანდარინები, გრეიფრუტები, ხურმები, კარალიოკები, კვიპაროსები და სხვ.

ნორჩ ნატურალისტთა პირველი რესპულიკური კონკურსი, ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო საქართველოს პიონერ-მოსწავლეთა ცხოვრებაში.

პირველი სკოლის შეფები

პოლიტექნიკური სწავლების დანერგვის საქმეში თბილისის პირველ სკოლას დიდ დახმარებას უწევენ მისი შეფები: პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე და თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის კოლექტივი.

პიონერთა სასახლემ სკოლისათვის გამოყო მიწის ნაკვეთი. აქ მოსწავლეები ბოტანიკის და ბიოლოგიის კურსის შესწავლასთან დაკავშირებით ატარებენ პრაქტიკულ მეცადინეობას. სწავლობენ მიწის დამუშავებას, პრაქტიკულად ეცნობიან მწკრივში და კვადრატულ ბუდობრივი თესვის წესებს, ეუფლებიან სასოფლო-სამეურნეო იარაღების ხმარებას და სხვ.

ავტოსარემონტო ქარხნის კოლექტივის დახმარებით, სკოლის შენობაში მოეწყო სასწავლო სახელოსნო. ქარხანამ მოსწავლეებზე გააპიროვნა ლითონის და ხის დასამუშავებელი სახარატო დაზგები. გარდა ამისა, სახელოსნოს გადაეცა საზეინკლო-სამონტაჟო, სადურგლო და საერთო მოხმარების იარაღები. რადიო და ელექტრომოყვარულთათვის სახელოსნოში მოეწყო ელექტროგამანაწილებელი ფარი ტრანსფორმატორით, გამმართველით და ელექტროსაზომით.

სახელოსნოში მოსწავლეები დაამზადებენ სასწავლო სადემონსტრაციო ხელსაწყოებს, მოდელებს, მაკეტებს. თვითონ გააკეთებენ იმ იარაღებს, რომლებსაც გამოიყენებენ სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე მუშაობისათვის და პირადი საჭიროებისათვის.

ერთი სკოლის ნორჩ ნატურალისტთა წრე

საინტერესოდ გაატარეს კვირა დღე, თბილისის 60-ე საშუალო სკოლის ნორჩმა ნატურალისტებმა. ეწვივნენ დედაქალაქის ერთ-ერთ შესანიშნავ ადგილს — ბოტანიკურ ბაღს.

აქ პიონერები გაეცვნენ სხვადასხვა ჯიშის მცენარეებს; ბუნებისმეტყველების მასწავლებელ ნ. ჭავჭანიძესთან ერთად საშემოდგომო კოლექციისათვის შეარჩიეს საინტერესო ექსპონატები. ექსკურსიის დროს ნორჩი ნატურალისტები ერთხმად ასახელებდნენ ნაცნობი მცენარეების სახელწოდებებს, რომლებიც მათ წრის მეცადინეობაზე შეისწავლეს.

პიონერები კმაყოფილნი დაბრუნდნენ ექსკურსიიდან.

ნაყოფიერად მუშაობს 60-ე სკოლის ნორჩ ნატურალისტთა წრე. ყოველი წევრი დიდი სიყვარულით უვლის ოთახის მცენარეებს, გულმოდგინედ და ინტერესით ასრულებს ხელმძღვანელის მიერ მოცემულ დავალებებს.

სკოლის საცდელ ნაკვეთზე ახლა პიონერებს დათესილი აქვთ საშემოდგომო ხორბალი. ვიოლეტა ბერიშვილი, ივანე სურგულაძე, მარინე თუშიშვილი და სხვები, ყოველდღე თავს დასტრიალებენ ნაკვეთს. ზოგი მათგანი ამოსული ყანის სიმაღლეს ზომავს და დღიურში იწერს, ზოგი სარეველა ბალახს აცლის, სხვები წყალს უსხამენ ამწვანებულ ჯეჯილს.

ექსკურსიის შემდეგ ნორჩ ნატურალისტებს მეტი საზრუნავი გაუჩნდათ: ბოტანიკური ბაღიდან ჩამოტანილ მცენარეებს უვლიან, სხვადასხვა სახის ფოთლებსა და ყვავილებს ალბომში აკრავენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკლედ ყველაფერზე

კომბაინების ქარხანა ყამირ მიწებზე

1957 წელს ყამირი მიწების ამთვისებელი საბჭოთა მეურნეობები და მტს-ები მიიღებენ კომბაინებს ახალი ქარხნის მარკით. ამჟამად ეს ქარხანა — გიგანტი შენდება ყამირი მიწების ცენტრში — ირტიშის ნაპირზე, ქალაქ პავლოდარის ახლოს.

ამ ქარხნის კონვეიერები ყოველწლიურად ათიათასობით გამოუშვებენ მარცვლეულობისა და სილოსის ამღებ კომბაინებს, აგრეთვე სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებს.

მშენებლობა დაწყებულია, გაკეთებულია რკინიგზები, მზადაა ელექტრომოწყობილობანი, წყალსადენები და საავტომობილო გზები.

თევზი — სნაიპერი

ტაილანდის მდინარეებში გვხვდება თევზი, რომელსაც მსროლელს, ან მშხეფავს უწოდებენ.

მშხეფავი ისევე კარგად ხედავს ჰაერში, როგორც წყალში. მთელი ღღე დაცურავს წყლის ზედაპირზე და „მსხვერპლს" უთვალთვალებს. საკმარისია რომელიმე მწერი დაჯდეს მცენარეზე, რომელიც მდინარეს დაჰყურებს, რომ მშხეფავი ჩუმად გასცურავს წყლის ზედაპირს, თავს ამოყოფს, ნიშანში ამოიღებს და წყლის წვრილი ნაკადით ძირს ჩამოაგდებს.

მშხეფავი ნიშანში ახვედრებს ერთნახევარი მეტრის მანძილზე. მაგრამ მისგან ამოხეთქილმა წყლის ნაკადმა შეიძლება 4 მეტრამდეც მიაღწიოს. თვით თევზი 10-12 სანტიმეტრის სიგრძისაა.

მშხეფავი ჩქარა ეჩვევა ტყვეობასაც. იგი მეტად მოძრავი და თამაშის მოყვარულია. ხანდახან აკვარიუმზე დახრილ ხალხსაც კი ესვრის ხოლმე თვალებში წყლის პაწია შადრევანს.

იყო შემთხვევა როდესაც მშხეფავმა ანთებული პაპიროსიც კი ჩააქრო.

საბავშვო კლუბი ბომბეიში

ინდოეთის დელეგატმა ახალგაზრდობის ფესტივალზე ვარშავაში — შუდა განდიმ — ფესტივალის მონაწილეებს უამბო, რომ მან და მისმა მეუღლემ, ექიმმა ვიპინ განდიმ ბომბეიში საბავშვო კლუბი ჩამოაყალიბეს.

ამ კლუბს სულ ორი წლის ისტორია აქვს. შუდა და ვიპინ განდებმა საკუთარ ბინაზე თავდაპირველად თავი მოუყარეს ოცდაათ ბავშვს, რომელთაც წერა-კითხვას ასწავლიდნენ და ათამაშებდნენ. კლუბი ყოველდღიურად იზრდებოდა და შუდას იარშავაში გამგზავრებისას ბავშვების რიცხვმა 150-ს მიაღწია.

ბავშვების შობლები, თუ შეუძლიათ, მცირე თანხას იხდიან სათამაშოების შესაძენად. ბიძია ვიპინის ხელმძღვანელობით ბავშვებმა ეზოში მოედანი მოაწყეს, სადაც ყოველ კვირა ნახულობენ ინდურ და საბჭოთა კინოფილმებს.

შუდა და ვიპინ განდები ძალიან არიან დინტერესებულნი საბჭოთა კავშირის პიონერების ცხოვრებით. იარშავიდან გამოვლით შუდამ ინახულა მოსკოვის მახლობლად პიონერთა ბანაკი. შუდა განდი აღფრთოვანებული დარჩა საბჭოთა პიონერების ცხოვრებით და განაცხადა:

— ის, რაც მე აქ ვნახე, ჩემი ყველაზე გაბედული ოცნების შესრულებაა. ინდოელი ბავშვებისათვის ასეთი მდიდარი პიონერული ბანაკები. ჯერჯერობით შეუძლებელია. მაგრამ ჩვენ ვისწავლით საბჭოთა ხალხისაგან.

ფენიქსი

ფენიქსი ზღაპრული ფრინველია; მის შესახებ უძველეს ეგვიპტეში არსებობდა ლეგენდა, რომლის მიხედვით ეს ზღაპრული ფრინველი ვითომ-ღა 500 წელიწადს ცოცხლობდა. როცა ფენიქსს სიკვდილის დრო უახლოვდებოდა, მაშინ იგი კეთილსურნელოვანი მცენარეებისაგან ბუდეს აშენებდა, შიგ თვითონ ჩაჯდებოდა და ბუდიანად დაიწვებოდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ფენიქსი ცაცხლისა და ფერფლისაგან კვლავ აღსდგებოდა ახალი სიცოცხლისა და ცხოვრებისათვის.

უძველესი დროიდან ფენიქსი სიცოცხლის აღდგენის, განახლების და მარადისობის სიმბოლოდ იქცა.

„...აღსდგა, ვითარცა ფენიქსი ფერფლისაგან" და სხვა ამგვარი გამოთქმები ღრმად დამკვიდრდა ჩვენს სიტყვაკაზმულ მწერლობაში.

კობრა — მსროლელი

ბევრმა ალბათ არც იცის, რომ არსებობს ისეთი გველი, რომელიც შხამის ნაკადს 4 მეტრზე ისვრის. ასეთი გველების — კობრების — სამი სახეობა აფრიკისა და სამხრეთ აზიის ტროპიკულ ტყეებში ცხოვრობს.

ჩვეულებრივ კობრას შხამიანი ჯირკვლები თვალებს უკან აქვს განლაგებული. ეს ჯირკვლები უერთდება ორ შხამიან კბილს, რომლებსაც სიგრძეზე ღარები გასდევს. უკბენს თუ არა გველი მსხვერპლს, შხამი ჭრილობაში ხვდება.

„მსროლელ კობრას" სიგრძივი ღარების ნაცვლად კბილებში პატარა მრგვალი ხვრელები აქვს. ჯირკვლების მძაფრი შეკუმშვისას ამ ხვრელებიდან შხამის წვრილ ნაკადებს ისვრის. დაცდენის შემთხვევაში კობრა ერთიმეორეზე მიყოლებით იმეორებს „სროლას".

როგორც კი მსხვერპლს შხამი თვალის ლორწოვან გარსზე მოხვდება, მყისვე სისხლში გადადის. პატარა მხეცებს ერთი „გასროლით" ჰკლავს, ხოლო დიდ მხეცებს აბრმავებს.

შხამის „გასროლა" მხოლოდ კობრას სამ სახეობას გამოუმუშავდა. ეს თვისება სხვა ქვეწარმავლებში არ არის შენიშნული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

თ. გიორგაძის რედაქციით

ბორის სპასკი — მსოფლიო ჩემპიონი

ივლისში ბელგიის ქალაქ ანტვერპენში გათამაშდა მსოფლიო პირველობა ჭაბუკ მოჭადრაკეთა შორის, რომელშიც მსოფლიო ჩემპიონის სახელი მოიპოვა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა, 18 წლის საერთაშორისო ოსტატმა ბორის სპასკიმ.

აგვისტოში ნიჭიერმა ჭაბუკმა მონაწილეობა მიიღო მსოფლიო ჩემპიონ მ. ბოტვინიკთან შესახვედრად კანდიდატთა გამოსავლინებელ გეტებორგის საერთაშორისო ტურნირში. სხვა გამოჩენილ მოჭადრაკეებთან შეხვედრებში ბ. სპასკიმ მოიპოვა უფლება განაგრძოს ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონთან მატჩის უფლებისათვის და დაიმახსოვრა საერთაშორისო გროსმაისტერის სახელი.

ბ. სპასკი ჭადრაკის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა გროსმაისტერია.

მოგვყავს ხილამაზისათვის დაჯილდოებული ბ. სპასკის პარტია.

ბ. სპასკი — ვან ოსტერომი (ჰოლანდია)

1. d4 ♞f6 2. c4 g6 3. ♞c3 ♗g7 4. e4 d6 5. f3 0—0 6. ♗e3 e5 7. ♞ge2 ♞c6 8. ♕d2 ♞fd7 9. 0—0—0 a6 10. d5 ♞a7 (შავებმა პასიური თამაშით დათმეს ინიციატივა) 11. g4 b5 12. ♞g3 bc 13. h4 f6 14. h5 ♕e7 15. hg hg 16. ♖h2 ♞gf7 (თუ 16. ... ♞c5, მაშინ 17. ♖h7+ ♞gf7 18. ♗h6 ♗g8 19. ♞h5! gh 20. gh ♞gf8 21. ♗g1 მოგებით. ჯობდა 16. ... ♗f7)



17. ♞f5!! gf (თუ 17. ... ♕e8, მაშინ 18. ♞:g7 ♞g:g7 19. ♖h7×) 18. ♖h5+ ♞g8 19. gf ♗f7 20. ♞e2 ♞c5 (თუ 20. ... ♞gf8, მაშინ 21. ♖h8+!! ♗:h8 22. ♗:h8+ ♞g7 23. ♗dh1 ♞f8 24. ♗8h6! შამათით) 21. ♗dg1 ♕d7 22. ♖h8×.



შინაარსი

იოსებ ნონეშვილი — გამარჯვების დიდი დროშა (ლექსი)	1
ლადო მრელაშვილი — შერიგება (მოთხრობა, დასასრული)	2
აკაკი გეწაძე — დალი და დილა (ლექსი)	6
ოტია იოსელიანი — „სხვა კაცი“ (მოთხრობა)	7
როსტომ ელანიძე — დამწყვდეული თევზები (მოთხრობა)	13
გურამ გოგიაშვილი — ბაქიბუქა (ლექსი)	15
მოსწავლეთა შემოქმედება	16
ხარიტონ ვარდოშვილი — დედის გული (ლექსი)	18
ზაქარია შერაზადიშვილი — გახსენება (ლექსი)	18
ჯიმშერ ენუქიძე — ქართველი პიონერი ბულგარეთში (ნარკვევი)	19
ვასილ კიკნაძე — „სომხეთის ფილა“ (წერილი)	23
ა. ცინცაძე — კორეული ზღაპრები (წერილი)	23
გიორგი ნატროშვილი — კაფანდარა (ზღაპარი)	24
პიონერული ახალი ამბები	30
მოკლედ ყველაფერზე	31
ჭადრაკი	32
გასართობი	3

გარეკანის პირველ გვერდზე — „დასახმარებლად“ — ნახატი გ. თოთიბაძისა. გარეკანის მეორე გვერდზე — „ვ. ი. ლენინი სრულიად რუსეთის საბჭოების II ყრილობაზე აცხადებს საბჭოთა ხელისუფლებას“. გარეკანის მეოთხე გვერდზე — მოკავშირე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ალმები.

ყუდნალი დასურათებულია მხატვრების: ალ. ბანძელაძის, რ. ცუცქირიძის, ნ. შალიკაშვილის, კ. მახარაძის და ი. გაბაშვილის მიერ.

რედაქტორი რევაზ მარგიანი

სარედაქციო კოლეგია: რ. ელანიძე, გ. ვარდოსანიძე, რ. თაბუკაშვილი, მ. ლებანიძე (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, გ. ფოცხიშვილი (სამხატვრო რედაქტორი), ე. ქარელიშვილი, გ. შატბერაშვილი, ბ. შელია, ვ. ჭელიძე.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ ფასი 2 მან.

„ПИОНЕРИ“ Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии. ноябрь, № 11 1955. Тбилиси, Ленина, 14. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის 14. 1 სართული. ტელ. 3—81—85. საბლიტგამი.

უე 08032 ტირაჟი 15.000 ხელმოწ. დასაბ. 2/XII გამომც. შეკვ. № 501 სტამბის შეკვ. № 1396 პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“

ეროვნული
ბიბლიოთეკა



გასართობი

რა სიტყვებია?

შეიძლება იფიქროთ, რომ თქვენს წინაშე ძველთაძველი პერგამენტის ნაგლეჯია, რომელიღაც უცნობი ხალხის დამწერლობით. სცდებით! ქართული ასოების ამ ნაწილებისაგან შეგიძლიათ აღადგინოთ სიტყვები, რომლებსაც ხშირად ჰკითხულობთ, გესმით და წარმოსთქვამთ ხოლმე.

მ. ოთაროვი

„ასი ბატი"

ერთხელ გუნდი ბატებისა
მიფრინავდა ცაში;
გუნდში ბევრი ბატი იყო,
იგრძნობოდა ხმაში.
წინ შემოხვდათ ბატი კენტად,
მოწყენილი ფრენდა,
გაიფიქრა: ასი ბატი
იქნებაო ერთად.
»გამარჯობათ, ასნო ბატნო!« —
მიესალმათ უმალ.
მაგრამ ასე უპასუხა
გუნდის მეთაურმა:
— ჩვენ კიდევ რომ დაგვემატოს
რაც ვართ, იმოდენი,
ზუსტად ჩვენი ნახევარიც,
ჩვენი მეოთხედიც,
შენც რომ ჩვენთან ყოფილიყავ —
წევრი ჩვენი დასის —
მხოლოდ მაშინ ვიქნებოდით
სრულყოფილი ასი...
თურმე ბატი ახლაც ფიქრობს,
ხუმრობაა განა?
დაეხმარეთ,
ამოხსენით
მისი ამოცანა.

ნიკოლოზ კლდიაშვილი

გეომეტრიული თავსატეხი

თქვენს წინაშე კვადრატული ფორმის სპორტული მოედანია. მოედნის ოთხივე კუთხეში თითო დიდი ხე დგას. საჭიროა მოედნის ორჯერ გადიდება იმ პირობით, რომ შევუნარჩუნოთ მოედანს კვადრატის ფორმა, მაგრამ არ მოვჭრათ ხეები.

მ. ოთაროვი



თავსატეხი



ქაღალდის ორი ფურცლით ნაწილობრივადაა დაფარული ქართული ასოები. ჩამოთვალეთ ყველა ასო, რომელიც აქ შეიძლება იყოს.

მ. ოთაროვი

პასუხი

ეურ. „პიონერის" №10-ში მოთავსებულ თავსატეხზე

ვინც ეწვევა საქართველოს საოცნებო სერებს, — სიმღერაც რომ არ იცოდეს მაინც დაიმღერებს.

ფასიანი ბიბლიოთეკა

მოკავშირე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ალმები

1. რსფსრ ალამი 2. უკრაინის სსრ ალამი 3. ბელორუსიის სსრ ალამი 4. უზბეკეთის სსრ ალამი 5. ყაზახეთის სსრ ალამი 6. საქართველოს სსრ ალამი 7. აზერბაიჯანის სსრ ალამი 8. ლიტვის სსრ ალამი 9. მოლდავეთის სსრ ალამი 10. ლატვიის სსრ ალამი 11. ყირგიზეთის სსრ ალამი 12. ტაჯიკეთის სსრ ალამი 13. სომხეთის სსრ ალამი 14. თურქმენეთის სსრ ალამი 15. ესტონეთის სსრ ალამი 16. კარელია-ფინეთის სსრ ალამი.